

# ჯანდაცვის ეროვნული ანგარიშების კლასიფიკაცია და მომზადების მეთოდოლოგია

2001-2006

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური  
დაცვის სამინისტროს ჯანდაცვის დეპარტამენტის  
პოლიტიკის სამმართველო

საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური  
პროექტების განმახორციელებელი ცენტრის პირველადი  
ჯანდაცვის განვითარების პროექტი

თბილისი

2008

# სარჩევი

|                                                                                                            |    |
|------------------------------------------------------------------------------------------------------------|----|
| 1. საქართველოს ჯანდაცვის ეროვნული ანგარიშების კლასიფიკაცია                                                 | 3  |
| 1.1. შესავალი                                                                                              | 3  |
| 1.2. საქართველოს ჯანდაცვის ეროვნული ანგარიშების კლასიფიკაცია და მისი განმარტებები                          | 4  |
| 1.3. ფინანსური წყაროები                                                                                    | 5  |
| 1.4. ფინანსური აგენტი (ფინანსური სახსრების განმკარგველები)                                                 | 8  |
| 1.5. სამედიცინო მომსახურების მომწოდებლები                                                                  | 11 |
| 1.6. ფუნქციები                                                                                             | 21 |
| 2. ჯანდაცვის ეროვნული ანგარიშების მომზადების მეთოდოლოგიური საკითხები                                       | 29 |
| 2.1. მეთოდოლოგია და მონაცემთა წყაროები                                                                     | 29 |
| 2.2. ჯანდაცვაზე სახელმწიფო დანახარჯების შეფასება                                                           | 30 |
| 2.2.1. ფინანსური წყაროები                                                                                  | 30 |
| 2.2.2. ფინანსური აგენტები                                                                                  | 35 |
| 2.2.3. სამედიცინო მომსახურების მომწოდებლები                                                                | 39 |
| 2.2.4. ფუნქციები                                                                                           | 41 |
| 2.2.5. ჯანდაცვაზე დანახარჯების გადანაწილება რეგიონების მიხედვით                                            | 47 |
| 2.3. ჯანდაცვაზე კერძო დანახარჯების შეფასება                                                                | 48 |
| 2.3.1. შინამეურნეობების მიერ ჯანდაცვაზე გაწეული დანახარჯების განაწილება მომსახურების სახეების მიხედვით     | 49 |
| 2.3.2. შინამეურნეობების დანახარჯი ფარმაცევტულ პროდუქციაზე და სამედიცინო საგნებზე 2001-2006 წლებში          | 63 |
| 2.3.3. შინამეურნეობების ჯანდაცვის დანახარჯების გადანაწილება სამედიცინო მომსახურების მომწოდებლების მიხედვით | 68 |
| 2.4. უცხოეთიდან მიღებული დახმარებები                                                                       | 75 |
| 2.5. კერძო სადაზღვევო კომპანიების მიერ ჯანდაცვაზე მობილიზებული თანხები                                     | 77 |
| დანართები                                                                                                  | 78 |

# 1. საქართველოს ჯანდაცვის ეროვნული ანგარიშების კლასიფიკაცია

## 1.1. შესავალი

ჯანდაცვის ეროვნული ანგარიშები ყოველწლიურად მზადდება მსოფლიოს 50-ზე მეტ ქვეყანაში, იწარმოება აღრიცხვის საერთაშორისოდ აღიარებული მეთოდოლოგიით, რომელიც აღწერს და აანალიზებს ქვეყნის ჯანდაცვის სისტემის დაფინანსებას. ჯანდაცვის ეროვნული ანგარიშების სისტემა შემუშავებული და მოწოდებულია ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ, მსოფლიო ბანკსა და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსთან თანამშრომლობით. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციისა (OECD) და ევროკავშირის წევრი ქვეყნები ჯანდაცვის დანახარჯების აღრიცხვისათვის აღნიშნულ სისტემას იყენებენ.

ჯანდაცვის ეროვნული ანგარიში წარმოადგენს ინსტრუმენტს, რომელიც ასახავს ჯანდაცვის სისტემაში მობილიზებულ ფინანსურ რესურსებს და მის ხარჯვას სხვადასხვა განზომილებებში. ის საშუალებას იძლევა შეფასდეს:

- რესურსების მოდინების სხვადასხვა წყაროთა მნიშვნელობა;
- სამედიცინო მომსახურების უმთავრესი მომწოდებლები გაწეული სამედიცინო დახმარების მოცულობის მიხედვით;
- ხარჯების ძირითადი მიმართულებები ჯანდაცვის სფეროში;
- ჯანდაცვის სფეროს ღონისძიებათა ძირითადი მომხმარებლები და ჯანდაცვის სისტემის ფუნქციონირების ძირითადი პარამეტრები.

ჯანდაცვის ეროვნული ანგარიშები საქართველოს მთავრობას ეხმარება დაფინანსების წყაროების მიხედვით შეაფასოს ქვეყანაში ჯანდაცვაზე რეალური ეროვნული დანახარჯები და ამ ანგარიშებზე დაყრნობით დაგეგმოს ქვეყნის ჯანდაცვის სისტემის განვითარებისთვის საჭირო რესურსების მოცულობა და განახორციელოს ჯანდაცვის სექტორში გაწეული საქმიანობის მონიტორინგი.

საქართველოში ჯანდაცვის ეროვნული ანგარიშების ინსტიტუციონალიზაციის მიზნით, საქართველოს მთავრობამ 2006 წლის 18 იანვარს, გამოსცა #11 დადგენილება „საქართველოში ჯანდაცვის ეროვნული ანგარიშების ინსტიტუციონალიზაციის შესახებ“, რომელშიც განსაზღვრულია ანგარიშების წარმოების მიზნები, ამოცანები, პერიოდულობა და შემსრულებლები.

## 1.2. საქართველოს ჯანდაცვის ეროვნული ანგარიშების კლასიფიკაცია და მისი განმარტებები

ჯანდაცვის ეროვნული ანგარიშების წარმოებისას სახელმძღვანელოდ გამოყენებულ იქნა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის, მსოფლიო ბანკსა და აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოსთან თანამშრომლობით შემუშავებული სახელმძღვანელო - „ჯანდაცვის ეროვნული ანგარიშების წარმოების მეთოდური სახელმძღვანელო დაბალი და საშუალო შემოსავლიანი ქვეყნებისათვის“.

საქართველოში ჯანდაცვის ეროვნული ანგარიშების წარმოება განხორციელდა **დარიცხვის მეთოდის გამოყენებით**, რაც გულისხმობს საანგარიშო პერიოდში ქვეყნის მასშტაბით არა დაფინანსებული, არამედ მოხმარებული სამედიცინო მომსახურების აღრიცხვას.

ქვეყანაში მოქმედი სისტემის სპეციფიკის გათვალისწინებით კლასიფიკაციის სქემებში შეტანილ იქნა შესაბამისი ცვლილებები, საერთაშორისო კლასიფიკაციის ძირითად კატეგორიებს დაემატა ქვეკატეგორიები, საქართველოს მონაცემების საერთაშორისო მახასიათებლებთან თავსებადობის უზრუნველყოფის მიზნით ტრანზაქციათა დაჯგუფების დროს მაქსიმალურად იქნა გათვალისწინებული საერთაშორისო სტანდარტები და შეთანხმებები, რის გამოც ჯანდაცვის ეროვნული ანგარიშების არსებული სტრუქტურა სხვა ქვეყნების ანალოგიურ მონაცემებთან შედარებითი ანალიზის საშუალებას იძლევა.

ჯანდაცვის ეროვნული ანგარიშების სისტემაში არის ოთხი ძირითადი კატეგორია:

**ფინანსური წყაროები/Financing sources (FS)** – ფინანსური წყაროების კატეგორიაში დაჯგუფებულია ყველა ის ორგანიზაცია თუ სუბიექტი, რომელიც გამოყოფს ფულად სახსრებს ჯანდაცვის ღონისძიებების დასაფინანსებლად.

**ფინანსური აგენტები /Financing Agents (HF)** – ფინანსური აგენტების კატეგორიას მიეკუთვნება ყველა ის ეკონომიკური აგენტი, რომელიც ფინანსური წყაროდან იღებს თანხებს და ახდენს მათ განკარგვას სამედიცინო მომსახურების, ფარმაცევტული საქონლის, სამედიცინო განათლების, მეცნიერების და ჯანდაცვასთან დაკავშირებული ნებისმიერი საქმიანობის დასაფინანსებლად.

**სამედიცინო მომსახურების მომწოდებლები /Providers of medical services (HP)** – სამედიცინო მომსახურების მომწოდებლების კატეგორიას მიეკუთვნება ყველა ის სუბიექტი თუ ორგანიზაცია, ვინც იღებს ფულად სახსრებს ფინანსური აგენტებიდან ჯანდაცვის მომსახურების ან მის განხორციელებასთან დაკავშირებული საქმიანობის სანაცვლოდ.

**ჯანდაცვის მომსახურების ფუნქციები /Health care functions (HC)** – აღნიშნული კატეგორია პასუხობს კითხვას - თუ რაზე იხარჯება ჯანდაცვის სექტორში ფულადი სახსრები.

### 1.3. ფინანსური წყაროები<sup>1</sup>

ფინანსური წყაროების კატეგორიაში დაჯგუფებულია ყველა ის ორგანიზაცია თუ სუბიექტი, რომელიც გამოყოფს ფულად სახსრებს ჯანდაცვის ღონისძიებების დასაფინანსებლად. აღნიშნული კატეგორია განსაზღვრავს ჯანდაცვის სექტორში არსებული სახსრების წყაროებს.

| კოდი              | დასახელება                                                                                                                                                  | კოდის აღწერილობა                                                                                                                                                                                                            |
|-------------------|-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| <b>FS1</b>        | <b>Public Funds - ჯანდაცვაზე გამოყოფილი სახელმწიფო რესურსები</b>                                                                                            | ჯანდაცვის სექტორის დასაფინანსებლად, სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი ფულადი სახსრები                                                                                                                                             |
| <b>FS 1.1</b>     | <b>Consolidated budget – ჯანდაცვაზე გამოყოფილი ნაერთი ბიუჯეტის სახსრები</b>                                                                                 | სახელმწიფო ბიუჯეტში და რეგიონული და ადგილობრივი მმართველობის ორგანოების ბიუჯეტებში ჯანდაცვის ღონისძიებების დასაფინანსებლად გამოყოფილი სახსრები                                                                              |
| <b>FS 1.1.1</b>   | <b>State budget – სახელმწიფო ბიუჯეტში ჯანდაცვაზე გამოყოფილი სახსრები</b>                                                                                    | სახელმწიფო ბიუჯეტში ჯანდაცვაზე გამოყოფილი სახსრების ჯამი                                                                                                                                                                    |
| <b>FS 1.1.1.1</b> | <b>Central budget resources – ცენტრალური ბიუჯეტში ჯანდაცვაზე გამოყოფილი სახსრები</b>                                                                        | ცენტრალურ ბიუჯეტში ჯანდაცვაზე გამოყოფილი სახსრების ჯამი                                                                                                                                                                     |
| <b>FS 1.1.1.2</b> | <b>Revenue from external organizations – ჯანდაცვის სექტორში უცხოეთიდან მიღებული დაფინანსების წყაროებით და გრანტებით განსაზღვრული ინვესტიციური პროექტები</b> | ჯანდაცვის სექტორში უცხოეთიდან მიღებული დაფინანსების წყაროებით და გრანტებით განსაზღვრული ინვესტიციური პროექტების და ამ პროექტებში თანამონაწილეობისა და თანადაფინანსების სახსრების ჯამი, რომელიც ასახულია სახელმწიფო ბიუჯეტში |
| <b>FS 1.1.1.3</b> | <b>Insurance contributions – სავალდებულო სახელმწიფო გადასახადები/შენატანები.</b>                                                                            | დაქირავებულებისა და დამქირავებლების მიერ გადახდილი სავალდებულო სახელმწიფო გადასახადები და შენატანები                                                                                                                        |
| <b>FS 1.1.2</b>   | <b>Teritorial government revenue – ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტიდან ჯანდაცვაზე გამოყოფილი სახსრები</b>                                                     | ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებიდან ჯანდაცვაზე გამოყოფილი სახსრების ჯამი                                                                                                                                                    |

<sup>1</sup> ფინანსური წყაროების ნაწილში, ისევე როგორც სხვა კატეგორიებში ქართულენოვანი თარგმანი არ არის ლიტერატურული თარგმანი, ყველა კოდი მოიცავს შესატყვის მნიშვნელობას, ქვეყნის რეალობის შესაბამისად

| კოდი       | დასახელება                                                                                                      | კოდის აღწერილობა                                                                                                                                                                                                                                   |
|------------|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------|----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| FS 1.1.2.1 | Tbilisi municipality revenue – ქ. თბილისის მერიის მიერ ჯანდაცვაზე გამოყოფილი სახსრები                           | ქ. თბილისის მერიის <sup>2</sup> მიერ ჯანდაცვის ღონისძიებების დასაფინანსებლად გამოყოფილი სახსრების ჯამი                                                                                                                                             |
| FS 1.1.2.2 | Adjara autonomies revenues – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მიერ ჯანდაცვაზე გამოყოფილი სახსრები                 | აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მიერ ჯანდაცვის ღონისძიებების დასაფინანსებლად გამოყოფილი სახსრების ჯამი                                                                                                                                              |
| FS 1.1.2.3 | Abkhazia autonomies revenues – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მიერ ჯანდაცვაზე გამოყოფილი სახსრები            | აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მიერ ჯანდაცვის ღონისძიებების დასაფინანსებლად გამოყოფილი სახსრების ჯამი                                                                                                                                           |
| FS 1.1.2.4 | Other municipality revenues – სხვა დანარჩენი ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებიდან ჯანდაცვაზე გამოყოფილი სახსრები | ყველა სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებიდან ჯანდაცვაზე გამოყოფილი სახსრების ჯამი                                                                                                                                                                |
| FS 1.2     | Other public funds - ჯანდაცვაზე გამოყოფილი არასაბიუჯეტო (ან საზოგადოებრივი) სახსრები                            | არასაბიუჯეტო აქტივებიდან მიღებული შემოსავლების წილი, როგორც ჯანდაცვაზე გამოყოფილი სახსრები                                                                                                                                                         |
| FS 1.9     | Other Government resources – ყველა სხვა სახელმწიფო სახსრები                                                     | ჯანდაცვაზე გამოყოფილი ყველა სხვა დანარჩენი სახელმწიფო სახსრები, რომელიც არ შედის ზემოთ ჩამოთვლილ ჯგუფებში                                                                                                                                          |
| FS 2       | Private funds – არასახელმწიფო სახსრები, რომლებიც გამოიყენება ჯანდაცვაზე                                         | ჯანდაცვის ღონისძიებების დასაფინანსებლად ყველა სახის არასახელმწიფო სახსრების ჯამი                                                                                                                                                                   |
| FS 2.1     | Employer funds – დამქირავებლის გადასახადები                                                                     | დამქირავებლების მიერ საკუთარი თანამშრომლების/დამქირავებულებისათვის ჯანდაცვის ღონისძიებების დასაფინანსებლად გადახდილი სახსრების ჯამი                                                                                                                |
| FS 2.1.1   | Health Taxes – ჯანდაცვაზე სავალდებულო გადასახადი                                                                | ნებისმიერი ტიპის ორგანიზაციებში - კომერციული/არაკომერციული დამქირავებლის მიერ სახელფასო ფონდებიდან გადახდილი ჯანდაცვის სავალდებულო გადასახადი                                                                                                      |
| FS 2.1.2   | Other revenues – დამქირავებლის მიერ ჯანდაცვაზე გაწეული არასავალდებულო ხარჯები                                   | დამქირავებლების მიერ გაღებული ნებისმიერი ფულადი სახსრები, რომლებიც ემსახურება საკუთარი თანამშრომლების ჯანმრთელობას კერძოდ: თანამშრომლების სამედიცინო მომსახურებაზე გადახდილი თანხები ან თანამშრომლებისათვის ჯანმრთელობის სადაზღვევო პოლისის შეძენა |

<sup>2</sup> თბილისის მერიის მიერ ჯანდაცვაზე გამოყოფილი სახსრები ცალკეა გამოყოფილი, ვინაიდან მას სოლიდური წილი უკავია ადგილობრივი ორგანოების მიერ ჯანდაცვაზე გამოყოფილ სახსრებში.

| კოდი       | დასახელება                                                                                                | კოდის აღწერილობა                                                                                                                                                                                                                |
|------------|-----------------------------------------------------------------------------------------------------------|---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| FS 2.2     | Household funds – შინამეურნეობების მიერ ჯანდაცვისთვის განკუთვნილი სახსრები                                | შინამეურნეობების სახსრების ჯამი, რომელიც ხმარდება სამედიცინო მომსახურების ან სამედიცინო საქონლის შეძენას.                                                                                                                       |
| FS 2.2.1   | Mandatory/Employee funds – დაქირავებულის მიერ გადახდილი ჯანდაცვის სავალდებულო გადასახადი                  | დაქირავებულის მიერ საკუთარი სახელფასო შემოსავლებიდან გადახდილი ჯანდაცვის სავალდებულო გადასახადები                                                                                                                               |
| FS 2.2.2   | Out of pocket payments – ჯიბიდან გადახდები                                                                | ჯანდაცვის მომსახურების ან საქონლის შესაძენად ჯიბიდან გადახდილი ნებისმიერი ტიპის სახსრები                                                                                                                                        |
| FS 2.2.2.1 | Legal out of pocket payments – ჯიბიდან გადახდილი ლეგალური თანხები                                         | ჯანდაცვის მომსახურების ან საქონლის შესაძენად ჯიბიდან გადახდილი ნებისმიერი ტიპის ლეგალური სახსრები                                                                                                                               |
| FS 2.2.2.2 | Illegal out of pocket payments – ჯიბიდან გადახდილი არალეგალური თანხები                                    | ჯანდაცვის მომსახურების ან საქონლის შესაძენად ჯიბიდან გადახდილი ნებისმიერი ტიპის არალეგალური სახსრები                                                                                                                            |
| FS 2.3     | Non-profit institutions serving individuals – არამომგებიანი ინსტიტუტები, რომლებიც ემსახურებიან ინდივიდებს | ადგილობრივი არასამთავრობო (არამომგებიანი) ორგანიზაციების მიერ ჯანდაცვაზე გამოყოფილი სახსრები, მაგალითად საპატრიარქოს მიერ ჯანდაცვის ღონისძიებებზე გაწეული ხარჯები                                                               |
| FS 2.9     | Other private funds – ყველა სხვა არასახელმწიფო სახსრები                                                   | ყველა სხვა არასახელმწიფო სახსრები ჯანდაცვაზე, რომლებიც არ არის კლასიფიცირებული ზემოთ ჩამოთვლილ პუნქტებში                                                                                                                        |
| FS 3       | Rest of the world – სხვა დანარჩენი                                                                        | სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების, ინსტიტუტების, იურიდიული პირების და ინდივიდების მიერ ჯანდაცვაზე გამოყოფილი ნებისმიერი სახის სახსრები, რომლებიც არ არის აღწერილი FS 1.1.1.2 პუნქტში, ჰუმანიტარული დახმარებები და გრანტები |

#### 1.4. ფინანსური აგენტი (ფინანსური სახსრების განმკარგველები)

ფინანსური აგენტების კატეგორიას მიეკუთვნება ყველა ის ეკონომიკური აგენტი, რომელიც ფინანსური წყაროდან იღებს თანხებს და ახდენს მათ განკარგვას სამედიცინო მომსახურების, ფარმაცევტული საქონლის, სამედიცინო განათლების, მეცნიერების და ჯანდაცვასთან დაკავშირებული სხვა საქმიანობის დასაფინანსებლად.

ფინანსური აგენტების ქვემოთ მოყვანილი სტრუქტურა შესაბამისობაშია ჯანდაცვის ეროვნული ანგარიშების საერთაშორისო კლასიფიკაციასთან და ქვეყანაში დღეს არსებული ფინანსური აგენტების სტრუქტურასთან.

ფინანსური აგენტების არსებული სტრუქტურის ცვლილება შესაძლებელია მოხდეს მომავალშიც, ქვეყანაში მიმდინარე სტრუქტურული რეფორმების შესაბამისად, უწყებების შერწყმის, გაუქმების ან სხვა უწყებებისათვის ერთი ფინანსური აგენტის უფლება - მოვალეობების მეორე უწყებაზე დელეგირების პროცესის პარალელურად.

ყველა ქვემოთ მოყვანილი ფინანსური აგენტი პირდაპირი წესით იღებს ნებისმიერ ფულად ან არაფულად/მატერიალურ სახსრებს ფინანსური წყაროებიდან და განკარგავს მათ ჯანდაცვის ღონისძიებების დასაფინანსებლად.

| კოდი              | დასახელება                                                                                                     | კოდის აღწერილობა                                                                                                                                                 |
|-------------------|----------------------------------------------------------------------------------------------------------------|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| <b>HF.1</b>       | <b>General government - სახელმწიფო სექტორი</b>                                                                 | მოიცავს სახელმწიფო დაქვემდებარებაში მყოფ ყველა დაწესებულებასა და ორგანიზაციას                                                                                    |
| <b>HF.1.1</b>     | <b>Teritorial government – სახელმწიფო დაქვემდებარებაში მყოფი დაწესებულებები და ორგანიზაციები</b>               | მოიცავს ცენტრალურ, რეგიონალ და ადგილობრივ დონეზე არსებულ ყველა სახელმწიფო დაქვემდებარებაში მყოფ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს                                 |
| <b>HF.1.1.1</b>   | <b>Central government – სახელმწიფო დაქვემდებარებაში მყოფი დაწესებულებები და ორგანიზაციები ცენტრალურ დონეზე</b> | სახელმწიფო დაქვემდებარებაში მყოფი დაწესებულებები და ორგანიზაციები ცენტრალურ დონეზე, რომლებიც იღებენ და განკარგავენ თანხებს ჯანდაცვის ღონისძიების დასაფინანსებლად |
| <b>HF 1.1.1.1</b> | <b>Ministry of Health Labout and social affairs – შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო</b>      |                                                                                                                                                                  |
| <b>HF 1.1.1.2</b> | <b>Public Health department – საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტი</b>                                        |                                                                                                                                                                  |



| კოდი        | დასახელება                                                                                                                             | კოდის აღწერილობა                                                                                                                                                                                                                                                                    |
|-------------|----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| HF 1.1.1.3  | National Institute of Health and Social Affairs – სოციალური და ჯანმრთელობის ეროვნული ინსტიტუტი                                         |                                                                                                                                                                                                                                                                                     |
| HF 1.1.1.4  | Disease control and statistical national center – ლ.საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და სამედიცინო სტატისტიკის ეროვნული ცენტრი |                                                                                                                                                                                                                                                                                     |
| HF 1.1.1.5  | Georgian Health and Social Projects Implementation Center – საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური პროექტების განმახორციელებელი ცენტრი |                                                                                                                                                                                                                                                                                     |
| HF 1.1.1.6  | Ministry of Defense – თავდაცვის სამინისტრო                                                                                             | თავდაცვის სამინისტრო, ქვემოთ ჩამოთვლილ ძალოვანი სტრუქტურების მსგავსად, იღებს და განკარგავს თანხებს ჯანდაცვის ღონისძიებების დასაფინანსებლად. მაგალითად: სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებებში და სამხედრო ჰოსპიტალებში სამხედრო უწყების თანამშრომლების მკურნალობის ხარჯების დაფარვა. |
| HF 1.1.1.7  | Ministry of internal affairs – შინაგან საქმეთა სამინისტრო                                                                              |                                                                                                                                                                                                                                                                                     |
| HF 1.1.1.8  | Ministry of Justice – იუსტიციის სამინისტრო                                                                                             |                                                                                                                                                                                                                                                                                     |
| HF 1.1.1.9  | Ministry of Security – უშიშროების სამინისტრო                                                                                           |                                                                                                                                                                                                                                                                                     |
| HF 1.1.1.10 | Government Security – სამთავრობო დაცვა                                                                                                 |                                                                                                                                                                                                                                                                                     |
| HF 1.1.1.11 | Department war veterans – ომის ვეტერანთა დეპარტამენტი                                                                                  |                                                                                                                                                                                                                                                                                     |
| HF 1.1.1.12 | Medical Education – სამედიცინო საგანმანათლებლო დაწესებულებები                                                                          | საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომლებიც იღებენ და განკარგავენ თანხებს სამედიცინო განათლების და მეცნიერების დასაფინანსებლად.                                                                                                                                                        |
| HF 1.1.1.13 | Hospital Restructurization fund - საავადმყოფოთა რესტრუქტურიზაციის ფონდი                                                                |                                                                                                                                                                                                                                                                                     |
| HF 1.1.1.17 | Other – სხვა                                                                                                                           | ყველა სხვა ფინანსური აგენტები, რომლებიც არ მიეკუთვნება ზემოჩამოთვლილ არცერთ კოდს                                                                                                                                                                                                    |
| HF 1.1.2    | State/provincial government – სახელმწიფო დაქვემდებარებაში მყოფი დაწესებულებები და ორგანიზაციები რეგიონალურ დონეზე                      | მოიცავს სახელმწიფო დაქვემდებარებაში მყოფ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს რეგიონალურ დონეზე, რომლებიც იღებენ და განკარგავენ თანხებს ჯანდაცვის ღონისძიების დასაფინანსებლად                                                                                                           |

| კოდი       | დასახელება                                                                                                                                 | კოდის აღწერილობა                                                                                                                        |
|------------|--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| HF 1.1.2.1 | Tbilisi city department of health and social affairs – ქ. თბილისის შრომის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის საქალაქო სამსახური <sup>3</sup> |                                                                                                                                         |
| HF 1.1.2.2 | Adjara Autonomous Ministry of health – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანდაცვის სამინისტრო                                                 |                                                                                                                                         |
| HF 1.1.2.3 | Aphkxazia Autonomous Ministry of health – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანდაცვის სამინისტრო                                           |                                                                                                                                         |
| HF 1.1.2.4 | Other municipality health departments – ჯანდაცვის სხვა მუნიციპალური ორგანოები                                                              |                                                                                                                                         |
| HF.1.2     | SUSIF – სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი                                                                                       | სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი, რომელიც იღებს და განკარგავს თანხებს ჯანდაცვის ღონისძიებების დასაფინანსებლად               |
| HF.2       | Private sector – კერძო სექტორი                                                                                                             | ყველა კერძო, არასახელმწიფო ტიპის ფინანსური აგენტები, რომლებიც იღებენ თანხებს და განკარგავენ მათ ჯანდაცვის ღონისძიებების დასაფინანსებლად |
| HF 2.1     | Private Social Insurance –სოციალური დაზღვევის კერძო კომპანიები                                                                             | ასეთი მოწყობა ქვეყანაში ჯერ-ჯერობით არ არის.                                                                                            |
| HF 2.2     | Other Private Social Insurance (other than social insurance) – სხვა კერძო სადაზღვევო კომპანიები (არასოციალური დაზღვევისათვის)              | სხვა კერძო სადაზღვევო კომპანიები, რომლებიც იღებენ და განკარგავენ თანხებს სამედიცინო მომსახურების და საქონლის შესაძენად                  |
| HF 2.3     | Private households, out-of pocket payment – შინამეურნეოები, ჯიბიდან გადახდები                                                              | შინამეურნეოები, რომლებიც იხდიან თანხებს სამედიცინო მომსახურების და საქონლის შესაძენად                                                   |
| HF 2.4     | Non profit institutions serving households (other than social insurance) – არამომგებიანი ინსტიტუტები, რომლებიც ემსახურებიან შინამეურნეოებს | არასამთავრობო (არამომგებიანი) ორგანიზაციები, რომლებიც აფინანსებენ ინდივიდების ჯანდაცვით მომსახურებას                                    |
| HF 2.5     | Private Funds (firms) and corporations – კერძო ფონდები და კორპორაციები                                                                     | ყველა კერძო ფონდები და კორპორაციები, რომლებიც ხარჯავენ თანხებს ჯანდაცვის ღონისძიებებზე                                                  |
| HF.3       | Rest of the world – სხვა დანარჩენი                                                                                                         |                                                                                                                                         |

<sup>3</sup> აღნიშნული ორგანო ცალკეა გამოყოფილი, ვინაიდან იგი წარმოადგენს მსხვილ ფინანსური აგენტს

## 1.5 სამედიცინო მომსახურების მომწოდებლები

სამედიცინო მომსახურების მომწოდებლების კატეგორიას მიეკუთვნება ყველა ის სუბიექტი თუ ორგანიზაცია, ვინც იღებს ფულად სახსრებს ფინანსური აგენტებიდან ჯანდაცვის მომსახურების ან მის განხორციელებასთან დაკავშირებული საქმიანობის სანაცვლოდ. აღნიშნული კატეგორია აღწერს სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლების მიერ გაწეულ ჯანდაცვით მომსახურებებს. ქვეყანაში სამედიცინო დაწესებულებების სტრუქტურა რეგულირდება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის 13/03/2001 წლის 108/ო ბრძანებით „სამედიცინო და ფარმაცევტული დაწესებულებათა ნომენკლატურის (ტიპის) დამტკიცების შესახებ“ - ზემოაღნიშნული ბრძანებით განსაზღვრულ ჩამონათვალზე დაყრდნობით ჯანდაცვითი დანახარჯების გაწერა მიმწოდებლების კუთხით შეუძლებელია, რადგან იგი არ შეესაბამება ქვეყანაში არსებულ სამედიცინო დაწესებულებების რეალურ ნომენკლატურას.

სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლების განსაზღვრებები ძირითადად დამუშავებულ იქნა ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OECD) მიერ 2000 წელს შემუშავებული სახელმძღვანელოს ჯანდაცვის ანგარიშების სისტემის (SHA) მიხედვით, აგრეთვე უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის წევრების მიერ სხვადასხვა მეთოდოლოგიურ სახელმძღვანელოებსა და დოკუმენტებზე დაყრდნობით.

| კოდი         | დასახელება                                                                  | კოდის აღწერილობა                                                                                                                                                                                                                                                         |
|--------------|-----------------------------------------------------------------------------|--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| <b>HP1</b>   | <b>Hospitals – საავადმყოფოები</b>                                           | სტაციონარული ტიპის სადიაგნოსტიკო-სამკურნალო დაწესებულებები, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსახლეობისათვის კვალიფიციურ სტაციონარულ და ამბულატორიულ დახმარებას მისთვის მინიჭებული სათანადო ლიცენზიის ფარგლებში.                                                                  |
| <b>HP1.1</b> | <b>General Hospitals – ზოგადი პროფილის/ მრავალპროფილიანი საავადმყოფოები</b> | სტაციონარული ტიპის მრავალპროფილიანი დაწესებულება, რომელიც ძირითადად აწარმოებს მესამეული ტიპის <sup>4</sup> სამედიცინო მომსახურებას, ავადმყოფობის გართულებული ან ატიპიური ფორმების დიაგნოსტიკასა და მკურნალობას. დაკომპლექტებულია ფართო და ვიწრო პროფილის სპეციალისტებით. |

<sup>4</sup> მესამეული ტიპის სამედიცინო მომსახურება წარმოადგენს ავადმყოფობის გართულებული ან არატიპიური ფორმირების დიაგნოსტიკასა და მკურნალობას.

| კოდი    | დასახელება                                                                                                                                                 | კოდის აღწერილობა                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                |
|---------|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| HP1.2   | Mental health and substance abuse hospitals – ფსიქო ნერვიული ჰოსპიტალები                                                                                   | ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებები, რომელთა ძირითადი საქმიანობაა ფსიქიკური და ქცევითი აშლილობების მქონე და წამალთდამოკიდებულ პაციენტთა დიაგნოსტიკური, სტაციონარული მომსახურება და პაციენტების მონიტორინგი. აღნიშნულ დაწესებულებებში მკურნალობა უტარდებათ პაციენტებს, რომლებიც ხანგრძლივ მკურნალობას ან მუდმივ მეთვალყურეობას (პატრონაჟს) საჭიროებენ.<br>არ მოიცავს: ფსიქიკური და ქცევითი აშლილობების მქონე და წამალთდამოკიდებულ პაციენტთა ამბულატორიულ მკურნალობას (H.P. 3.4.2);                                                                                                                                           |
| HP1.3   | Speciality (other than mental health and substance abuse) hospitals – სპეციალიზირებული საავადმყოფოები (ფსიქიატრიული და ნარკოლოგიური საავადმყოფოების გარდა) | სტაციონარული ტიპის დაწესებულება, რომელიც ახორციელებს რომელიმე კონკრეტული დაავადების ან დაავადებათა ჯგუფის პროფილაქტიკას, დიაგნოსტიკას, მკურნალობასა და რეაბილიტაციას: <ul style="list-style-type: none"> <li>• სპეციალიზებული საავადმყოფოები (მწვავე გადაუდებელი შემთხვევების მართვა);</li> <li>• სპეციალიზებული სასწრაფო დახმარების ცენტრები; ტრავმატოლოგიურ/ორთოპედიული საავადმყოფოები; სპეციალური სანატორიუმები (უპირატესად დაკავებული პოსტოპერაციული, რეაბილიტაციური და პროფილაქტიკური მომსახურებით);</li> <li>• ინფექციური საავადმყოფოები;</li> <li>• ტუბსაავადმყოფოები;</li> <li>• ონკოლოგიური საავადმყოფოები.</li> </ul> |
| HP1.3.1 | Maternity houses – სამშობიარო სახლები                                                                                                                      | სტაციონარული ტიპის სამედიცინო - გინეკოლოგიური დაწესებულება, რომელიც დახმარებას უწევს ქალებს ორსულობის, მშობიარობის, მშობიარობის შემდგომ პერიოდებში და გინეკოლოგიური დაავადებების დროს.                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                          |
| HP1.3.2 | Children's hospitals – ბავშვთა საავადმყოფოები                                                                                                              | სამედიცინო დაწესებულება, რომლის ძირითადი საქმიანობაა, სამკურნალო საქმესთან ერთად, წარმოადგენს ბავშვთა სადიაგნოსტიკო, პროფილაქტიკურ-სარეაბილიტაციო და გადაუდებელი სამედიცინო დახმარება.                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                          |
| HP1.3.3 | Oncology hospitals – ონკოლოგიური საავადმყოფოები                                                                                                            | სამედიცინო დაწესებულება, რომელიც სპეციალიზებულ სამედიცინო მკურნალობას, დიაგნოსტიკას, მონიტორინგს ახორციელებს ონკოლოგიური დაავადებების მქონე პაციენტების მიმართ. აღნიშნული კოდის ქვეშ გაერთიანდება ზემოაღნიშნული ტიპის დაწესებულებების მიერ გაწეული მომსახურების მთლიანი მოცულობა.                                                                                                                                                                                                                                                                                                                                               |

| კოდი     | დასახელება                                                                                                                  | კოდის აღწერილობა                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                        |
|----------|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| HP1.3.4  | Tuberculous hospitals – ტუბსაავადმყოფოები                                                                                   | სამედიცინო დაწესებულება, რომელიც სპეციალიზებულ სამედიცინო მკურნალობას, დიაგნოსტიკას და მონიტორინგს ახორციელებს ფთიზიატრიული პაციენტების მიმართ.                                                                                                                                                                                                                         |
| HP1.3.5. | Infectious hospitals – ინფექციური საავადმყოფოები                                                                            | სამედიცინო დაწესებულება, რომელიც სპეციალიზებულ სამედიცინო მკურნალობას, დიაგნოსტიკას ახორციელებს ინფექციური დაავადებების მქონე პაციენტების მიმართ.                                                                                                                                                                                                                       |
| HP1.3.6. | Cardiological clinics – კარდიოლოგიური კლინიკები                                                                             | სამედიცინო დაწესებულება, რომელიც სპეციალიზებულ სამედიცინო მკურნალობას, დიაგნოსტიკას, მეთვალყურეობასა და მონიტორინგს ახორციელებს გულსისხლძარღვთა დაავადებების მქონე პაციენტების მიმართ.                                                                                                                                                                                  |
| HP1.3.7. | Optalmologyc clinics – ოფთალმოლოგიური კლინიკები                                                                             | სამედიცინო დაწესებულება, რომელიც სპეციალიზებულია თვალისა და თვალბუდის პათოლოგიის მქონე პაციენტების მკურნალობაში.                                                                                                                                                                                                                                                        |
| HP1.3.8  | Urologycal clinics – უროლოგიური კლინიკები                                                                                   | სამედიცინო დაწესებულება, რომელიც სპეციალიზებულ სამედიცინო მკურნალობას, დიაგნოსტიკას ახორციელებს შარდსასქესო სისტემების დაავადებების მქონე პაციენტების მიმართ.                                                                                                                                                                                                           |
| HP 1.3.9 | Other hospitals– სხვა საავადმყოფოები                                                                                        | ყველა სპეციალიზირებული საავადმყოფოს მომსახურების მთლიანი მოცულობა, რომლებიც არ არის მოცული ზემოაღნიშნულ კლასიფიკაციაში                                                                                                                                                                                                                                                  |
საერთოდ, ამგვარი კლასიფიცირებისათვის 2001-2002 წლების მოდელი საკმარისად რთულია, რადგან სისტემის ფუნქციონირების **De Jure** სქემა არსებითად განსხვავდებოდა **De Facto** ვითარებისგან. აღნიშნულ წლებში ჩატარებული შესაბამისი კვლევები და საექსპერტო შეფასებები გვიჩვენებს, რომ ე. წ. “სამედიცინო დაზღვევის სავალდებულო შესატანი” სინამდვილეში იყო რაღაც შუალედური კატეგორია “სავალდებულო შესატანსა” და “მიზანმიმართულ საბიუჯეტო გადასახადს” შორის. შეგროვების ტექნიკით (“მისამართი” – ექსკლუზიურად სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო კომპანია) “3+1” შესატანს წააგავდა, ხოლო გადამხდელისა და გადახდის პროცედურის აღრიცხვის ტექნიკით – მიზანმიმართულ საბიუჯეტო გადასახადს.

2003 წლიდან სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო კომპანიამ შეწყვიტა ფუნქციონირება და შეიქმნა ახალი სტრუქტურა – სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი, გაუქმდა სამედიცინო დაზღვევის სავალდებულო შესატანი და ჯანდაცვის სახსრები გაერთიანდა სოციალური დაზღვევის გადასახადში, რომლის საფუძველზეც ხდებოდა სოციალური ხარჯების დამფინანსებელი საგანგებო ფონდის, ე. წ. სპეცფონდის ფორმირება.

---

<sup>9</sup> საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, 2001-2005 წლების ჯანდაცვის ეროვნული ანგარიშების მომზადების მეთოდოლოგიის შეფასება და მისი გაუმჯობესების რეკომენდაციები თამარ ცინცაძე თბილისი1 აგვისტო, 2007

2003 და 2004 წლების ბიუჯეტის კანონის მიხედვით სახელმწიფო ბიუჯეტი შედგებოდა ცენტრალური ბიუჯეტისა და სპეცფონდებისაგან (მათ შორის საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი). მიუხედავად იმისა, რომ სოციალური დაზღვევის გადასახადი, ყველა სხვა სახის გადასახადისაგან განსხვავებით, განსაზღვრავს გადასახადის მიზანს, მიმართულებას, ქვეყნის კანონმდებლობით არის ბიუჯეტის ფორმირების წყარო და ჯანდაცვის ეროვნულ ანგარიშებში 2003 წელს ამ გადასახადს მიენიჭა კოდი FS.1.1.1.3 (სავალდებულო სახელმწიფო სადაზღვევო გადასახადი). ეს გადასახადი ისეთივე წესით შედიოდა ხაზინაში, როგორც სხვა წმინდა საბიუჯეტო გადასახადები – ცალკე მიმღები ანგარიში ხაზინაში სოციალური დაზღვევის გადასახადისათვის არ არსებობდა. ამგვარად იგი ისევ წარმოადგენს შუალედურ კატეგორიას მსგავსად “სამედიცინო დაზღვევის სავალდებულო შესატანისა”, მაგრამ ამჯერად მიზანმიმართულ საბიუჯეტო გადასახადსა და წმინდა საბიუჯეტო გადასახადს შორის.

2004 წელს ვერ მოხერხდა ცენტრალური ბიუჯეტის ტრანსფერისა და სოციალური გადასახადის ცალკ-ცალკე დამისამართება, ამიტომ 2004 წელს ორივე თანხა მოთავსდა კოდის ქვეშ FS1.1.1.1 ცენტრალური ბიუჯეტში ჯანდაცვაზე გამოყოფილი სახსრები, ნაცვლად FS 1.1.1.3 და FS1.1.1.1.

2005 წელს სოციალური დაზღვევის გადასახადი უქმდება და შემოდის სოციალური გადასახადი, რომელიც უშუალოდ ბიუჯეტში აკუმულირდება და სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ჯანდაცვის პროგრამების დაფინანსება მხოლოდ საბიუჯეტო ასიგნებებით ხორციელდება, ამდენად ის FS.1.1.1.1 (ცენტრალური ბიუჯეტი)-ის განაყოფს განეკუთვნება.

იმის გამო, რომ ჯანდაცვის ეროვნული ანგარიშების მომზადებისას გამოყენებულ იქნა დარიცხვის მეთოდი, 2001-2006 წლებში ფაქტიური შესრულება საკმაოდ აღემატებოდა რეალურ დაფინანსებას, მათ შორის სხვაობა კი სახელმწიფო ბიუჯეტის ვალად აღირიცხებოდა და მისი გასტუმრება ხდებოდა მომდევნო წლებში, ამიტომ რეალურ დაფინანსებასა და ფაქტიურად შესრულებულ სამუშაოს შორის სხვაობა მიეკუთვნა სახელმწიფო ბიუჯეტს (ცხრილი 1):

**ცხრილი 1 - ჯანმრთელობის პროგრამების განსახორციელებლად სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის დაფინანსების წყაროები (ათასი ლარი)**

| წყაროები                                               | 2001           | 2002           | 2003           | 2004           | 2005           | 2006            |
|--------------------------------------------------------|----------------|----------------|----------------|----------------|----------------|-----------------|
| სახელმწიფო ბიუჯეტის ტრანსფერი                          | 19313,7        | 26900,5        | 27 990,2       | 65546,8        | 88608,0        | 128645,5        |
| სამედიცინო დაზღვევის გადასახადი                        | 20981,7        | 18400,0        | 36300,0        |                |                |                 |
| ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებიდან გადაცემული თანხები |                | 3900,0         | 5376,4         | 15409,1        |                |                 |
| <b>სულ</b>                                             | <b>40295,4</b> | <b>49200,5</b> | <b>69666,6</b> | <b>80955,9</b> | <b>88608,0</b> | <b>126381,2</b> |



გარდა ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებისა, სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის მიერ შშმპ (შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების) დახმარების სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში ხდებოდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სხვადასხვა სამედიცინო ხარჯების ანაზღაურება. ამიტომ ამ პროგრამის ფარგლებში გაწეული ხარჯებიც დაემატა ფონდის მიერ ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამებზე დანახარჯებს.

### **ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებიდან ჯანდაცვაზე გამოყოფილი სახსრები**

ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებიდან სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდისათვის ჯანდაცვის პროგრამების განსახორციელებლად გადარიცხულ თანხებს მიენიჭა კოდი - FS 1.2.

წყაროების ნაწილში ცალკე კოდები იქნა მინიჭებული შედარებით მსხვილი ერთეულებისათვის: ქ. თბილისის მერიის მიერ ჯანდაცვაზე გამოყოფილი სახსრები (FS 1.1.2.1), აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მიერ ჯანდაცვაზე გამოყოფილი სახსრები (FS 1.1.2.2) და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მიერ ჯანდაცვაზე გამოყოფილი სახსრები (FS 1.1.2.3), დანარჩენი მუნიციპალიტეტების მიერ ჯანდაცვაზე გამოყოფილი სახსრები გაერთიანებულ იქნა FS 1.1.2.4 კოდის ქვეშ - სხვა დანარჩენი ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებიდან ჯანდაცვაზე გამოყოფილი სახსრები (ცხრილი 2).

ცხრილი 2. მუნიციპალიტეტების და ტერიტორიული ერთეულების მიერ ჯანდაცვაზე გამოყოფილი სახსრები 2001-2004 წლებში  
(ათასი ლარი)

|                          | 2001                   |                                                          | 2002                   |                                   | 2003                   |                                   | 2004                   |                                | 2005                   | 2006                   |                                                          |
|--------------------------|------------------------|----------------------------------------------------------|------------------------|-----------------------------------|------------------------|-----------------------------------|------------------------|--------------------------------|------------------------|------------------------|----------------------------------------------------------|
|                          | გამოყოფილი<br>სახსრები | მ.შ. კერძო<br>სადაზღვევო<br>კომპანიისთვის<br>გადარიცხული | გამოყოფილი<br>სახსრები | მ.შ.<br>ფონდისთვის<br>გადარიცხული | გამოყოფილი<br>სახსრები | მ.შ.<br>ფონდისთვის<br>გადარიცხული | გამოყოფილი<br>სახსრები | მ.შ. ფონდისთვის<br>გადარიცხული | გამოყოფილი<br>სახსრები | გამოყოფილი<br>სახსრები | მ.შ. კერძო<br>სადაზღვევო<br>კომპანიისთვის<br>გადარიცხული |
| თბილისი                  | 12 995,9               | 2 459,0                                                  | 11 585,1               | 2 101,1                           | 9 825,5                | 880,7                             | 17 884,7               | 2 389,4                        | 19 759,8               | 5 956,3                | 3 000,0                                                  |
| აჭარა                    | 5 039,1                |                                                          | 4 500,0                |                                   | 5 661,0                |                                   | 4 763,0                | 2 173,7                        | 8 323,4                | 6 890,0                |                                                          |
| აფხაზეთი                 | 769,4                  |                                                          | 813,3                  |                                   | 618,7                  |                                   | 869,0                  |                                | 922,9                  | 541,6                  |                                                          |
| სხვა<br>მუნიციპალიტეტები | 7 154,6                |                                                          | 8 211,7                | 1 798,9                           | 9 279,9                | 4 495,7                           | 18 835,2               | 10 846,0                       | 12 369,3               | 7 353,4                |                                                          |
| <b>სულ</b>               | <b>25 959,0</b>        | <b>2 459,0</b>                                           | <b>25 110,1</b>        | <b>3 900,0</b>                    | <b>25 385,1</b>        | <b>5 376,4</b>                    | <b>42 351,9</b>        | <b>15 409,1</b>                | <b>41 375,4</b>        | <b>20 741,3</b>        | <b>3 000,0</b>                                           |

## 2.2.2. ფინანსური აგენტები

ფინანსურ აგენტებზე თანხების გადანაწილების დროს რაიმე მეთოდოლოგიური დაშვებების გამოყენება არ გახდა საჭირო, ვინაიდან მოწოდებული ინფორმაციიდან ნათლად ჩანდა თუ რომელ ფინანსურ აგენტს გადაეცა ფინანსური წყაროებიდან წამოსული თანხები, შეაბამისად მათი გაწერა მოხდა არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით (ცხრილი 3).

**ცხრილი 3. ფინანსური წყაროებიდან ფინანსურ აგენტებზე თანხების მოძრაობა (ათასი ლარი)**

| წყარო                              | აგენტი                                                                                        | 2001     | 2002     | 2003    | 2004    | 2005    | 2006     | შენიშვნა                                                                                                                                                                                    |
|------------------------------------|-----------------------------------------------------------------------------------------------|----------|----------|---------|---------|---------|----------|---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| FS1.1.1.1<br>ცენტრალური<br>ბიუჯეტი | HF 1.1.1.1<br>შრომის, ჯანმრთელობის და<br>სოციალური დაცვის სამინისტრო                          | 6 082,1  | 6 322,4  | 6 825,1 | 8 524,3 | 8 584,7 | 5 247,3  | სამინისტროს აპარატის,<br>ტერიტორიული ორგანოების,<br>საქვეუწყებო დაწესებულებების,<br>საჯარო სამართლის იურიდიული<br>პირების ხარჯები და რეფორმების<br>ხელშეწყობის პროგრამის ხარჯების<br>ნაწილი |
|                                    | HF 1.1.1.2<br>საზოგადოებრივი ჯანდაცვის<br>დეპარტამენტი                                        | 11 139,6 | 12 749,5 | 3 897,4 | 3 222,1 |         |          | დეპარტამენტის საორგანიზაციო<br>ხარჯები და<br>პრენეციისა(პრევენციისა?) და<br>ეპიდკონტროლის პროგრამის<br>ხარჯები                                                                              |
|                                    | HF 1.1.1.3<br>სოციალური და ჯანმრთელობის<br>ეროვნული ინსტიტუტი                                 |          |          | 608,7   | 186,0   | 567,1   | 680,1    |                                                                                                                                                                                             |
|                                    | HF 1.1.1.4<br>დაავადებათა კონტროლისა და<br>სამედიცინო სტატისტიკის<br>ეროვნული ცენტრი          |          |          | 729,1   | 354,4   | 626,4   | 626,4    |                                                                                                                                                                                             |
|                                    | HG 1.1.1.5<br>საქართველოს ჯანმრთელობის და<br>სოციალური პროექტების<br>განმახორციელებელი ცენტრი | 914,4    | 284,7    | 932,3   | 567,8   | 1 120,4 | 2 412,4  | უცხოეთიდან მიღებული<br>დაფინანსების წყაროებით და<br>გრანტებით განსახორციელებელი<br>ინვესტიციური პროექტების<br>თანამონაწილეობისა და<br>თანადაფინანსების თანხები                              |
|                                    | HF 1.1.1.6<br>თავდაცვის სამინისტრო                                                            | 152,3    | 1530,7   | 1 191,7 | 132,8   | 771,5   | 17 783,4 | ჯანდაცვის ღონისძიებების<br>დასაფინანსებლად გამოყოფილი                                                                                                                                       |

| წყარო                                                       | აგენტი                                                                                               | 2001     | 2002     | 2003     | 2004     | 2005     | 2006      | შენიშვნა                                                                                                                                        |
|-------------------------------------------------------------|------------------------------------------------------------------------------------------------------|----------|----------|----------|----------|----------|-----------|-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
|                                                             |                                                                                                      |          |          |          |          |          |           | თანხები                                                                                                                                         |
| <b>FS1.1.1.1</b><br>ცენტრალური<br>ბიუჯეტი                   | <b>HF 1.1.1.7</b><br>შინაგან საქმეთა სამინისტრო                                                      | 398,1    | 414,9    | 523,1    | 786,9    | 870,0    | 1 329,9   | ჯანდაცვის ღონისძიებების<br>დასაფინანსებლად გამოყოფილი<br>თანხები                                                                                |
|                                                             | <b>HF 1.1.1.8</b><br>იუსტიციის სამინისტრო                                                            |          |          |          | 108,7    | 112,6    |           | ჯანდაცვის ღონისძიებების<br>დასაფინანსებლად გამოყოფილი<br>თანხები                                                                                |
|                                                             | <b>HF 1.1.1.9</b><br>უშიშროების სამინისტრო                                                           | 110,7    | 123,9    | 104,3    |          |          |           | ჯანდაცვის ღონისძიებების<br>დასაფინანსებლად გამოყოფილი<br>თანხები                                                                                |
|                                                             | <b>HF 1.1.1.10</b><br>სამთავრობო დაცვა                                                               | 244,8    | 342,8    | 176,2    |          |          |           | ჯანდაცვის ღონისძიებების<br>დასაფინანსებლად გამოყოფილი<br>თანხები                                                                                |
|                                                             | <b>HF 1.1.1.11</b><br>ომის ვეტერანთა დეპარტამენტი                                                    | 461,1    | 486,9    | 321,1    | 441,9    | 1 678,6  | 1 548,6   | ჯანდაცვის ღონისძიებების<br>დასაფინანსებლად გამოყოფილი<br>თანხები                                                                                |
|                                                             | <b>HF 1.1.1.12</b><br>სამედიცინო საგანმანათლებლო<br>დაწესებულებები                                   | 14,5     |          | 85,5     | 301,1    | 553,8    | 811,2     | თსსუ და სამედ. აკადემიისთვის<br>განათლებისა და სამეცნიერო<br>კვლევებისათვის გამოყოფილი<br>თანხები                                               |
|                                                             | <b>HF 1.1.1.13</b><br>საავადმყოფოთა<br>რესტრუქტურისაციის ფონდი                                       |          |          |          |          | 20 978,8 | 47 792,1  | საავადმყოფოთა აღჭურვა-<br>რეაბილიტაციისთვის გამოყოფილი<br>სახსრები                                                                              |
|                                                             | <b>HF 1.1.1.17</b><br>სხვა                                                                           | 815,8    | 688,5    | 762,2    | 3 883,1  | 3 083,8  | 4 214,8   |                                                                                                                                                 |
|                                                             | <b>HF 1.2</b><br>სოციალური დაზღვევის ერთიანი<br>სახელმწიფო ფონდი                                     | 19 313,7 | 26 900,5 | 27 990,5 | 65 546,7 | 88 608,0 | 128 645,5 | ფონდის ორგანიზაციული ხარჯები,<br>ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო<br>პროგრამების, შშმ სამედიცინო<br>მომსახურების ხარჯები<br>ცენტრალური ბიუჯეტიდან |
|                                                             |                                                                                                      |          |          |          |          |          |           |                                                                                                                                                 |
| <b>FS 1.1.1.2</b><br>უცხოეთიდან<br>მიღებული<br>დაფინანსების | <b>HF 1.1.1.5</b><br>საქართველოს ჯანმრთელობის და<br>სოციალური პროექტების<br>განმახორციელებელი ცენტრი | 9 683,4  | 13 194,4 | 2 480,6  | 2 618,9  | 17 276,1 | 17 961,7  | ჯანდაცვის მეორე პროექტი,<br>სტრუქტურული რეფორმების<br>მხარდაჭერის პროექტის<br>საავადმყოფოთა                                                     |

| წყარო                                                           | აგენტი                                                                                       | 2001     | 2002    | 2003     | 2004     | 2005     | 2006    | შენიშვნა                                                                                                                                                         |
|-----------------------------------------------------------------|----------------------------------------------------------------------------------------------|----------|---------|----------|----------|----------|---------|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| წყაროებით და გრანტებით განსახორციელებელი ინვესტიციური პროექტები |                                                                                              |          |         |          |          |          |         | რესტრუქტურისაგების კომპონენტი, შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური ფონდი, სოციალური დაცვის რეფორმების პროექტების მოსამზადებელი გრანტი |
|                                                                 | <b>HF 1.1.1.13</b><br>საავადმყოფოთა რესტრუქტურისაგების ფონდი                                 |          |         |          |          |          |         |                                                                                                                                                                  |
|                                                                 | <b>HF 2.4</b><br>არამომგებიანი ინსტიტუტები, რომლებიც ემსახურებიან შინამეურნეობებს            |          |         |          | 117,7    |          |         | სათემო დაზღვევის პროექტი                                                                                                                                         |
|                                                                 | <b>HF 3</b><br>სხვა დანარჩენი                                                                |          |         | 210,4    | 974,5    | 841,0    | 1 333,2 | ტუბერკულოზის დამლევა (GTZ) და ტუბერკულოზის კონტროლის პროგრამა (KFW)                                                                                              |
|                                                                 |                                                                                              |          |         |          |          |          |         |                                                                                                                                                                  |
| <b>FS 1.1.1.3</b><br>სადაზღვევო გადასახადები და შენატანები      | <b>HF 1.2</b><br>სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი                                |          |         | 36 300,0 |          |          |         | სოციალური დაზღვევის გადასახადი                                                                                                                                   |
|                                                                 |                                                                                              |          |         |          |          |          |         |                                                                                                                                                                  |
| <b>FS 1.1.2.1</b><br>ქ. თბილისის მერიის სახსრები                | <b>HF 1.1.2.1</b><br>ქ. თბილისის შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის საქალაქო სამსახური | 10 536,9 | 9 484,0 | 8 944,8  | 15 495,3 | 19 759,8 | 2 956,3 | ჯანდაცვის ღონისძიებების დასაფინანსებლად გამოყოფილი თანხები                                                                                                       |
|                                                                 | <b>HF 1.2</b><br>სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი                                |          | 2 101,1 | 880,7    | 2 389,4  |          |         | ამბულატორიული დახმარების პროგრამების დასაფინანსებლად მიმართული თანხები                                                                                           |
|                                                                 | <b>HF 2.2.</b><br>სხვა კერძო სამედიცინო დაზღვევა                                             | 2 459,0  |         |          |          |          | 3 000,0 | ”ალდაგისთვის” გადარიცხული თანხები                                                                                                                                |

| წყარო                                                                                         | აგენტი                                                                            | 2001     | 2002     | 2003    | 2004     | 2005     | 2006    | შენიშვნა                                                                      |
|-----------------------------------------------------------------------------------------------|-----------------------------------------------------------------------------------|----------|----------|---------|----------|----------|---------|-------------------------------------------------------------------------------|
| <b>FS 1.1.2.2</b><br>აჭარის<br>ავტონომიური<br>რესპუბლიკის<br>სახსრები                         | <b>HF 1.1.2.2</b><br>აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის<br>ჯანდაცვის სამინისტრო       | 5 039,1  | 4 500,0  | 5 661,0 | 2389,1   | 8 323,4  | 6 890,0 | ჯანდაცვის ღონისძიებების<br>დასაფინანსებლად გამოყოფილი<br>თანხები              |
|                                                                                               | <b>HF 1.2</b><br>სოციალური დაზღვევის ერთიანი<br>სახელმწიფო ფონდი                  |          |          |         | 2 173 ,7 |          |         | ამბულატორიული დახმარების<br>პროგრამების დასაფინანსებლად<br>მიმართული თანხები  |
| <b>FS 1.1.2.3</b><br>აფხაზეთის<br>ავტონომიური<br>რესპუბლიკის<br>სახსრები                      | <b>HF 1.1.2.3</b><br>აფხაზეთის ავტონომიური<br>რესპუბლიკის ჯანდაცვის<br>სამინისტრო | 769,4    | 813,3    | 618,7   | 869,0    | 922,9    | 541,6   | ჯანდაცვის ღონისძიებების<br>დასაფინანსებლად გამოყოფილი<br>თანხები              |
| <b>FS 1.1.2.4</b><br>სხვა დანარჩენი<br>ტერიტორიული<br>ერთეულების<br>სახსრები                  | <b>HF 1.1.2.4</b><br>ჯანდაცვის სხვა მუნიციპალური<br>ორგანოები                     | 7 154,6  | 6 412,8  | 4 784,2 | 7 989,2  | 12 369,3 | 7 353,4 | ჯანდაცვის ღონისძიებების<br>დასაფინანსებლად გამოყოფილი<br>თანხები              |
|                                                                                               | <b>HF 1.2</b><br>სოციალური დაზღვევის ერთიანი<br>სახელმწიფო ფონდი                  |          | 1 798,9  | 4 495,7 | 10 846,0 |          |         | ამბულატორიული დახმარების<br>პროგრამების დასაფინანსებლად<br>მიმართული თანხები  |
| <b>FS 2.1.1</b><br>დამქირავებლის<br>მიერ გადახდილი<br>ჯანდაცვაზე<br>სავალდებულო<br>გადასახადი | <b>HF 1.2</b><br>სოციალური დაზღვევის ერთიანი<br>სახელმწიფო ფონდი                  | 15 735,3 | 13 800,0 |         |          |          |         | დამქირავებლების გადასახადი<br>ფონდში ჯანდაცვის პროგრამების<br>დასაფინანსებლად |
| <b>FS 2.2.1</b><br>დაქირავებულის<br>ჯანდაცვაზე<br>სავალდებულო<br>გადასახადი                   | <b>HF 1.2</b><br>სოციალური დაზღვევის ერთიანი<br>სახელმწიფო ფონდი                  | 5 245,4  | 4 600,0  |         |          |          |         | დაქირავებულების გადასახადი<br>ფონდში ჯანდაცვის პროგრამების<br>დასაფინანსებლად |

### 2.2.3. სამედიცინო მომსახურების მომწოდებლები

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, საქვეუწყებო დაწესებულებების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების, საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტის, სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტის დანახარჯების განაწილება მომსახურების მომწოდებლისა და ფუნქციების მიხედვით მოხდა ამ დაწესებულებების საქმიანობიდან გამომდინარე და პროგრამის განხორციელებაში მონაწილე კონტრაქტორი დაწესებულებების ტიპისა და პროგრამის შინაარსის მიხედვით.

სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის დანახარჯების მომსახურების მომწოდებლებზე გაწერისას ქვეყნის რეალობიდან გამომდინარე, შემოტანილ იქნა ახალი კოდი HP 3.4.6.3 შერეული ტიპის პოლიკლინიკებისთვის.

საუბნო ამბულატორიები, სამკურნალო-სადიაგნოსტიკო ცენტრები, სამკურნალო-პროფილაქტიკური ცენტრები, საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანებები განთავსდა HP 3.4.5 კოდის ქვეშ, მულტიპროფილური დისპანსერები - HP 3.4.9, ინდემწარმეები - HP 3.9.9, ხოლო საუბნო საავადმყოფოები - HP1.1, ასოციაცია ან კავშირი - HP 7.9

მაღოვანი უწყებების სამედიცინო ხარჯების (თავდაცვის სამინისტრო, იუსტიციის სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტრო) გადანაწილება მომსახურების მომწოდებლებისა და ფუნქციონალურ ჭრილში მოხდა ამ უწყებებიდან მოწოდებული დისაგრეგირებული ინფორმაციის საფუძველზე.

თბილისის ჯანდაცვის საქალაქო სამსახურის პროგრამების შინაარსიდან გამომდინარე, თანხები მთლიანად იქნა გაწერილი მომსახურების მომწოდებლების მიხედვით. დანარჩენი ტერიტორიული ერთეულების საბიუჯეტო თანხები მომსახურების მომწოდებლებისა და ფუნქციების მიხედვით გაწერილ იქნა თბილისის საქალაქო სამსახურის მიერ დახარჯული თანხების ხვედრითი წილის შესაბამისად.

**ცხრილი 4. სახელმწიფო სახსრების განაწილება სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებზე**

|             |                                                                                                    | 2001          | 2002         | 2003        | 2004          | 2005        | 2006        |
|-------------|----------------------------------------------------------------------------------------------------|---------------|--------------|-------------|---------------|-------------|-------------|
| <b>HP 1</b> | საავადმყოფოები                                                                                     | 42 726 633    | 50 304 871   | 57 776 325  | 70 417 280    | 82 958 418  | 101 722 905 |
| <b>HP 2</b> | საექთნო და ხანგრძლივი ზრუნვის<br>(რეზიდენციული ზრუნვის)<br>დაწესებულებები                          | -             | -            | -           | -             | -           | 650 950     |
| <b>HP 3</b> | ამბულატორიული მომსახურება                                                                          | 23 965 837    | 26 301 309   | 32 511 020  | 35 700 039    | 48 901 762  | 64 355 057  |
| <b>HP 4</b> | საცალო ვაჭრობა და სამედიცინო<br>პროდუქცია, სამედიცინო დანიშნულების<br>მოწყობილობები და აღჭურვილობა | -             | -            | -           | -             | -           | 188 000     |
| <b>HP 5</b> | საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამების<br>განხორციელება და ადმინისტრირება                            | 4 041 685     | 4 003 404    | 2 985 761   | 1 955 736     | 5 243 648   | 3 026 196   |
| <b>HP 6</b> | ჯანდაცვის ადმინისტრირება და დაზღვევა                                                               | 10 337<br>875 | 9 026<br>158 | 9 850 329   | 17 874<br>482 | 51 430 053  | 66 730 184  |
| <b>HP 7</b> | სამედიცინო მომსახურების მეორადი<br>მწარმოებლები                                                    | 684 169       | 517 987      | 334 118     | -             | 69 640      | 2 408 381   |
| <b>HP 8</b> | ინსტიტუტები რომლებიც ახორციელებენ<br>ჯანდაცვასთან დაკავშირებულ<br>მომსახურებას                     | 552 241       | 503 777      | 2 859 837   | 2 525 447     | 3 051 416   | 11 043 373  |
| <b>HP 9</b> | სხვა დანარჩენი                                                                                     | 10 597 772    | 13 479 107   | -           | 353 500       | 3 169 899   | -           |
| <b>777</b>  | უცნობი დანახარჯები                                                                                 | 905 864       | 2 412 463    | 1 995 300   | -             | -           | -           |
|             | სულ                                                                                                | 93 812 077    | 106 549 076  | 108 312 690 | 128 826 484   | 194 824 837 | 250 125 047 |



#### **2.2.4. ფუნქციები**

ფუნქციების კატეგორია ერთმანეთისაგან მკაფიოდ გამიჯნავს ჯანდაცვაზე სხვადასხვა სახის დანახარჯებს - სამედიცინო მომსახურების დანახარჯები სერვისების მიხედვით, ფარმაცევტულ საქონელზე დანახარჯები, ადმინისტრაციული დანახარჯები და სხვა.

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, საქვეუწყებო დაწესებულებების, საჯარო სამართლის იურიდიულ პირების დანახარჯების გადანაწილება ფუნქციების მიხედვით განხორციელდა ამ დაწესებულებების საქმიანობისა და მათ მიერ განსახორციელებელი სახელმწიფო პროგრამების შინაარსიდან გამომდინარე (ცხრილი 5).

ცხრილი 5. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან სახელმწიფო სახსრების მოძრაობა ფუნქციონალურ ჭრილში (ათასი ლარი)

| აგენტი                            | ფუნქცია                                                               | 2001    | 2002    | 2003    | 2004    | 2005    | 2006    | შენიშვნა                                                                                                                           |
|-----------------------------------|-----------------------------------------------------------------------|---------|---------|---------|---------|---------|---------|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| HF1.1.1.1<br>ჯანდაცვის სამინისტრო | HC 1.3.9 ყველა სხვა ამბულატორიული მომსახურება                         |         | 255,4   |         |         |         |         | სამხედრო ძალებში გასაწვევთა სამედ. შემოწმების პროგრამა                                                                             |
|                                   | HC 2.3 ამბულატორიულ პაციენტთა რეაბილიტაცია                            | 1 402,6 | 1 360,7 | 2 934,6 |         |         |         | საკურორტო სამედიცინო რეაბილიტაციის პროგრამა                                                                                        |
|                                   | HC 7.1.1 სახელმწიფოს მიერ ჯანდაცვის სექტორის ადმინისტრირება           | 1 955,5 | 1 509,0 | 2 279,3 | 3 630,2 | 4 328,2 | 5 137,9 | სამედიცინო დაწესებულებათა მართვის უზრუნველყოფა და რეფორმების განვითარების ხელშეწყობისა და სახ. პროგრამების მონიტორინგის პროგრამები |
|                                   | HC R.1 სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებისათვის კაპიტალის ფორმირება | 2 724,0 | 1 959,3 | 1 202,9 | 4 499,5 | 3 745,7 |         | სამედ. დაწესებულებათა რეაბილიტაციისა და სამედ. რეზერვების შევსება-განახლების პროგრამა                                              |
|                                   | HC R.2 სამედიცინო პერსონალის სწავლება                                 | 1 636,8 | 570,2   | 149,3   | 294,7   | 347,0   | 109,3   | სამედიცინო განათლებისა და მეცნიერების პროგრამა                                                                                     |
|                                   | HC R.3 ჯანდაცვის სექტორის განვითარება და კვლევები                     | 592,0   | 523,7   |         | 99,9    | 163,8   |         | სამედიცინო განათლებისა და მეცნიერების პროგრამა                                                                                     |
|                                   | HC R.4 საკვები, ჰიგიენა და სასმელი წყლის კონტროლი                     | 105,0   | 143,5   |         |         |         |         | ნორმირება და სახ. ზედამხედველობის პროგრამა                                                                                         |

ვინაიდან სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი სახელმწიფო პროგრამების ადმინისტრირებასა და ორგანიზაციაზე ერთიანად იღებდა თანხებს და მასში ცალკე არ არის გამოყოფილი თუ რამდენი ხარჯება ჯანდაცვის პროგრამების ადმინისტრირებაზე, ფონდის მიერ ჯანდაცვის პროგრამების ადმინისტრირებაზე გაწეული ხარჯების დასათვლელად განსაზღვრულ იქნა ჯანმრთელობის პროგრამებზე დანახარჯების წილი ფონდის მთლიან დანახარჯებში  $\approx 21-22\%$  და აღნიშნული პროცენტული თანაფარდობით მოხდა ჯანდაცვაზე საორგანიზაციო ხარჯების გამოყოფა.

სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის პროგრამების განაწილება ფუნქციონალურ ჭრილში მოხდა პროგრამის განხორციელებაში მონაწილე კონტრაქტორი დაწესებულებების ტიპისა და პროგრამის შინაარსის მიხედვით, თუმცა ბავშვთა სამედიცინო დახმარების, რეფერალური დახმარების, მოსახლეობის ურგენტული მომსახურების, სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დამატებითი სამედიცინო მომსახურების, უმწეოთა დამატებითი სამედიცინო დახმარების და სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის სამედიცინო დაზღვევის პროგრამების ფუნქციონალურ ჭრილში განაწილებისას შეიქმნა პრობლემა, რადგან ამ პროგრამების განხორციელებაში მონაწილე დაწესებულებების უმეტესობა იყო მულტიპროფილური საავადმყოფოები და პროგრამის შინაარსიც არ იძლეოდა ფუნქციონალური გადანაწილების საშუალებას. ამიტომ ეს თანხები განაწილებულ იქნა ამ პროგრამების ფარგლებში ნოზოლოგიების მიხედვით განხორციელებული მომსახურების პროცენტული წილის შესაბამისად (დანართი 1).

ფონდის ინფორმაციით, სამხედრო ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა დამატებითი სამედიცინო გამოკვლევის კომპონენტის ფარგლებში ხორციელდება ამ მოქალაქეთა დიაგნოსტიკური მომსახურება, ამიტომ ამ პროგრამის თანხები განთავსდა HC 4.2 კოდის ქვეშ. ორგანოთა და ქსოვილთა ტრანსპლანტაციისა და დიალიზის კომპონენტის თანხებს მიენიჭა დიალიზის კოდი HC 1.2.1.

**ცხრილი 6. სოციალური დაზღვევის ერთიანი სახ. ფონდიდან სახელმწიფო სახსრების მოძრაობა ფუნქციონალურ ჯგუფში (ათასი ლარი)**

| ფუნქცია                                                  | 2001    | 2002     | 2003     | 2004     | 2005     | 2006     | შენიშვნა                                                                                                                               |
|----------------------------------------------------------|---------|----------|----------|----------|----------|----------|----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| HC 1.1.1 ქირურგია                                        | 8,833,7 | 11 645,8 | 14 873,9 | 19 463,8 | 8, 328,7 | 21 502,9 |                                                                                                                                        |
| HC 1.1.2 თერაპია                                         | 5 367,7 | 7 191,8  | 7 706,5  | 8 463,5  | 7 721,6  | 16 088,4 |                                                                                                                                        |
| HC 1.1.3 მეანობა-გინეკოლოგია                             | 5 587,5 | 7 217,7  | 7 548,6  | 8 661,7  | 9 147,3  | 5 622,9  |                                                                                                                                        |
| HC 1.1.4 ონკოლოგია                                       | 3 298,4 | 2 589,4  | 3 357,5  | 2 916,1  | 3 593,1  | 5 222,5  |                                                                                                                                        |
| HC 1.1.5 ტუბერკულოზი                                     | 2 036,1 | 2 236,0  | 2 376,2  | 2 053,6  | 2 752,8  | 2 799,8  |                                                                                                                                        |
| HC 1.1.6 ინფექციური დაავადებები                          | 2 757,9 | 2 345,1  | 2 052,1  | 2 407,6  | 2 348,3  | 2453,6   |                                                                                                                                        |
| HC 1.1.7 ფსიქიკური დარღვევები                            | 2 813,6 | 3 023,3  | 2 793,9  | 2 503,0  | 2 931,7  | 3 467,7  |                                                                                                                                        |
| HC 1.1.8 პედიატრია                                       | 1 157,6 | 1 445,3  | 1 110,1  | 1 976,0  | 1 525,3  | 1 447,6  |                                                                                                                                        |
| HC 1.1.9 სხვა                                            | 1 096,3 | 2 198,1  | 1 370,1  | 2 780,0  | 23,8     | 2 885,3  |                                                                                                                                        |
| HC 1.2.1 დიალიზი                                         | 901,5   | 999,3    | 1 217,9  | 1 646,6  | 218,5    | 8 310,6  | ტრანსპლანტაციისა და დიალიზის პროგრამა                                                                                                  |
| HC 1.3.1 ბაზისური სამედიცინო და დიაგნოსტიკური სერვისი    | 36,5    | 111,5    | 9 971,4  | 11 523,8 | 15 872,2 | 16 632,2 |                                                                                                                                        |
| HC 1.3.2 სტომატოლოგიური მომსახურება                      | 33,8    | 28,7     | 91,4     | 292,2    |          |          | სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება და ინდივიდუალური დახმარებები                                                    |
| HC 1.3.3                                                 | 2 243,5 | 2 945,4  | 3 215,7  | 3 778,1  | 4 262,0  | 4 931,4  | სპეციალიზებული ამბულატორიული დახმარების პროგრამა, ონკონკურაბელურ ავადმყოფთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა                                |
| HC 1.3.9 ყველა სხვა ამბულატ. მომსახურება                 | 2 412,1 | 4 111,5  | 8 383,2  | 6 067,1  | 8 029,9  | 8 495,0  | მოიცავს დიაბეტიანთა, ჰემოფილიკთა, თირკმელგადანერგილთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის და ანტირაბიული საშუალებებით უზრუნველყოფის ხარჯებსაც |
| HC 2.1 ჰოსპიტალიზებულ პაციენტთა რეზიდენტობა              |         |          |          | 540,4    | 1 191,7  | 374,9    | შშმპ ბავშვთა სამედიცინო რეზიდენტობა                                                                                                    |
| HC 4.2 დიაგნოსტიკური მომსახურება                         | 372,2   | 112,0    | 126,7    | 191,4    |          | 349,9    | სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება                                                                                 |
| HC 4.3 პაციენტთა ტრანსპორტირება და გადაუდებელი დახმარება | 50,1    | 35,9     | 805,9    | 1 949,9  | 15 803,5 | 22 797,1 | რეფერალური დახმ. კომპონენტი (დუდუშაურის სახ. საავადმყოფო), საგანგებო სიტუაციებში დაზარალებულ მოქალაქეთა სამედიცინო დახმარება           |

|                                                                                                     |         |       |         |         |         |         |                                                           |
|-----------------------------------------------------------------------------------------------------|---------|-------|---------|---------|---------|---------|-----------------------------------------------------------|
| <b>HC 6.3.1</b> იმუნიზაცია                                                                          |         |       | 1 210,0 | 914,7   | 566,2   | 419,3   | 2003- იმუნიზაცია + ვაქცინები; 2004 - ვაქცინები            |
| <b>HC 7.1.2</b> სოციალური დაზ. ფონდის ადმინისტრირება და მართვა                                      | 1 198,0 | 973,9 | 1,455,4 | 2,826,6 | 2 950,4 | 3 439,8 | ფონდის მიერ ჯანდაცვის პროგრამების ადმინისტრირების ხარჯები |
| <b>HCR.nck</b> სხვა დანარჩენი დანახარჯები ჯანდაცვაზე, რომელიც არ არის აღწერილი სახეობების მიხედვით. |         |       |         |         | 1 341,0 | 1 504,6 | სამედიცინო სოციალური ექსპერტიზის პროგრამა                 |

2001-2005 წლებში თბილისის ჯანდაცვის საქალაქო სამსახურის პროგრამების შინაარსიდან გამომდინარე, თანხები მთლიანად იქნა გაწერილი ფუნქციონალურ ჭრილში. დანარჩენი ტერიტორიული ერთეულების საბიუჯეტო თანხები ფუნქციების მიხედვით გაწერილ იქნა თბილისის საქალაქო სამსახურის მიერ დახარჯული თანხების ხვედრითი წილის შესაბამისად.

2006 წელს თბილისის საქალაქო სამსახურის, აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების ჯანდაცვის დანახარჯები ფუნქციონალურ ჭრილში გაწერილ იქნა პროგრამების შინაარსიდან გამომდინარე. ამ თანხებს ასევე დაემატა ამ რეგიონებში სოციალური დაცვის პროგრამებიდან ჯანდაცვის ღონისძიებებზე დახარჯული თანხებიც. დანარჩენი ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებიდან ჯანდაცვაზე გამოყოფილი თანხები გადანაწილდა 2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონში გათვალისწინებული პროგრამების (საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და სანიტარიულ-ჰიგიენური სამსახურებისა და პროგრამების, წვევამდელთა სავალდებულო სამხედრო სამსახურისათვის მომზადების, საქართველოს სამხედრო ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა სამედიცინო შემოწმების ღონისძიებები) ჩამონათვალის მიხედვით თბილისის საქალაქო სამსახურის იგივე პროგრამების პროცენტული წილის შესაბამისად.

### 2.2.5. ჯანდაცვაზე დანახარჯების გადანაწილება რეგიონების მიხედვით

სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის დანახარჯების გადანაწილება რეგიონების მიხედვით მოხდა ჯანდაცვის პროგრამებში მონაწილე კონტრაქტორი დაწესებულებების ადგილმდებარეობის მიხედვით. სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის დანახარჯების რეგიონებზე გაწერისას იძულებით გადაადგილებულ პირთა სამედიცინო მომსახურება პირობითად მიეკუთვნა აფხაზეთის რეგიონს.

ადგილობრივი მმართველობის ორგანოებისა და ავტონომიური რესპუბლიკების ჯანდაცვის დანახარჯები (გარდა ტრანსფერისა სოციალური დაზღვევის ფონდში ურგენტული და ამბულატორიული პროგრამების დასაფინანსებლად) მიეკუთვნა შესაბამის რეგიონებს (ცხრილი 7).

**ცხრილი 7. ჯანდაცვაზე სახელმწიფო დანახარჯების გადანაწილება ერთ სულ მოსახლეზე რეგიონების მიხედვით (ლარი)**

| რეგიონი                  | 2001 | 2002 | 2003 | 2004 | 2005 | 2006 |
|--------------------------|------|------|------|------|------|------|
| აჭარა                    | 22   | 21   | 23   | 17   | 37   | 38   |
| თბილისი                  | 50   | 59   | 55   | 74   | 116  | 126  |
| კახეთი                   | 5    | 6    | 7    | 7    | 9    | 12   |
| იმერეთი                  | 8    | 8    | 10   | 10   | 12   | 16   |
| სამეგრელო --ზემო-სვანეთი | 7    | 9    | 9    | 10   | 11   | 13   |
| შიდა ქართლი              | 6    | 8    | 9    | 10   | 10   | 67   |
| ქვემო ქართლი             | 4    | 5    | 6    | 7    | 8    | 11   |
| გურია                    | 8    | 10   | 8    | 9    | 11   | 15   |
| სამცხე-ჯავახეთი          | 9    | 11   | 11   | 11   | 15   | 14   |
| მცხეთა მთიანეთი          | 5    | 8    | 8    | 9    | 10   | 15   |
| რაჭა-ლეჩხუმი             | 10   | 13   | 14   | 18   | 21   | 30   |
| სულ საშუალო              | 21   | 24   | 25   | 30   | 45   | 57   |

### 2.3. ჯანდაცვაზე კერძო დანახარჯების შეფასება

ჯანდაცვის ეროვნული ანგარიშების მომზადებისას, შინამეურნეობების მიერ ჯანდაცვაზე გაწეული კერძო დანახარჯების შეფასებისათვის საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები არ იქნა გამოყენებული, ვინაიდან შინამეურნეობების მიერ ჯანდაცვაზე გაწეულ დანახარჯებში წლების მიხედვით გამოვლინდა მნიშვნელოვანი რყევები, რაც ქვეყნის ეკონომიკასთან მიმართებაში არარეალისტურად გამოიყურება. შესაბამის წლებში არც მოსახლეობის რაოდენობა და არც სხვა ეკონომიკური მაჩვენებლები არ განიცდიდა მსგავსი ტიპის ცვალებადობას, კერძოდ: მთლიანი შიდა პროდუქტი, ეკონომიკური ზრდის ტემპი, შინამეურნეობების საერთო დანახარჯები, ფარმაცევტული პროდუქციის იპორტისა და საცალო ვაჭრობის მოცულობა სააფთიაქო ქსელში, ჰოსპიტალიზებულთა და ამბულატორიული მიმართვების აბსოლუტური რიცხვი თანაბრად ზრდადია და რაიმე მკვეთრი ცვლილებები არ ფიქსირდება.

სტატისტიკის დეპარტამენტის მასალებზე დაყრდნობით, შინამეურნეობების ჯანდაცვაზე დანახარჯები 2001 წლიდან 2002 წლამდე 186 მლნ. ლარით გაიზარდა, ხოლო 2002 წლიდან 2003 წლამდე 86 მლნ. ლარით შემცირდა, რყევები ფიქსირდება შემდეგი წლების როგორც დანახარჯებში, ასევე დანახარჯების სტრუქტურაშიც: შინამეურნეობების მიერ ჯანდაცვაზე დანახარჯებში ფარმაცევტულ პროდუქციაზე დანახარჯი 2001 წელს 54,4%-იდან 2002 წელში დაეცა 7.1%-მდე, 2003 წელს შეადგინა 9.6%, ხოლო 2004 წელს კი 41.5%. ასეთივე შეუსაბამობებია სტაციონარული და ამბულატორიული დანახარჯების ნაწილშიც.

ამავე წლებში, სააფთიაქო ქსელის მიერ წარმოებული სტატისტიკური ანგარიშების თანახმად, ყოველწლიურად ხდებოდა რეალიზებული ფარმაცევტული პროდუქციის მოცულობის მატება (გამოხატული ლარებში) მაშინ, როდესაც სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ეროვნული ანგარიშების შეფასებით, რეალიზებული ფარმაცევტული პროდუქციის მოცულობა 2001 წელს მკვეთრად შემცირდა 2000 წელთან შედარებით, ხოლო შემდეგ სწრაფად მოიმატა. 2003-2004 წლებში ასევე მნიშვნელოვნად შემცირდა ჰოსპიტალური დანახარჯი, თუმცა მოიმატა ჰოსპიტალიზაციების საერთო რაოდენობამ, რომელსაც სახელმწიფო არ აფინანსებდა.

ყოველივე ზემოაღნიშნული მიზეზებიდან გამომდინარე, 2001-2005 წლებში, შინამეურნეობების მიერ ჯანდაცვაზე დანახარჯების შესაფასებლად შემუშავებული იქნა სპეციალური მეთოდოლოგია, „ჯანდაცვაზე დანახარჯების შეფასება საქართველოში 2000-2005 წლებში“, რომელსაც უნდა გადაეჭრა აღნიშნული პრობლემა, თუმცა უნდა ითქვას, რომ მიღებულმა შედეგებმა არაერთგვაროვანი დამოკიდებულება ჰპოვა ჯანდაცვის ეროვნული ანგარიშების მოსამზადებელ სამუშაო ჯგუფის წევრებს შორის.

ჯანდაცვაზე კერძო დანახარჯების საბოლოო დაზუსტების მიზნით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს დაავალბით, საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური პროექტების განმახორციელებელი ცენტრის, პირველადი ჯანდაცვის პროექტის ფარგლებში 2007 წლის ივლისში ჩატარდა სპეციალიზირებული კვლევა „შინამეურნეობებში, სამედიცინო მომსახურების



უტილიზაციის და დანახარჯების შესახებ“ შემდეგი ორგანიზაციების თანამშრომლობით:

- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, ჯანმრთელობის და სოციალური პროექტების განმახორციელებელი ცენტრის, პირველადი ჯანდაცვის განვითარების პროექტი
- საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი
- Oxford Policy Management, UK
- საერთაშორისო ფონდი კურაციო

კვლევამ შეაფასა საქართველოში შინამეურნეობების მიერ გაწეული დანახარჯები სამედიცინო მომსახურებაზე, სამედიცინო საგნებზე და ფარმაცევტულ პროდუქციაზე. იგი მოიცავდა პერიოდს 2006 წლის ივნისი - 2007 წლის ივლისი. დანახარჯების შესახებ ინფორმაცია სტრუქტურირებულია ჯანდაცვის ანგარიშთა საერთაშორისო კლასიფიკაციის მიხედვით (ICHA).

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, 2001-2006 წლებში კერძო დანახარჯების გასაანგარიშებლად და სტაციონარული დანახარჯების (ქირურგიზე, თერაპიაზე, ონკოლოგიაზე, მეანობაზე, გინეკოლოგიაზე, ინფექციურ დაავადებებზე) მეტი დეტალიზების მიზნით საჭირო გახდა სპეციალური მეთოდოლოგიის შემუშავება.

გათვლების გასაკეთებლად გამოყენებული იქნა:

- შრომის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს, ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლის და სამედიცინო სტატისტიკის ეროვნული ცენტრის სამედიცინო სტატისტიკური ინფორმაცია;
- საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, სტატისტიკის დეპარტამენტის ინფორმაცია მოსახლეობის რაოდენობის და ინფლაციის შესახებ;
- გამოყენებული იქნა ჯანდაცვის დანახარჯების შეფასების სხვადასხვა კვლევების შედეგები.

### **2.3.1. შინამეურნეობების მიერ ჯანდაცვაზე გაწეული დანახარჯების განაწილება მომსახურების სახეების მიხედვით**

კვლევის შედეგად მიღებულია შინამეურნეობების მიერ ჯანდაცვაზე დანახარჯები ერთ სულ მოსახლეზე სხვადასხვა ფუნქციების მიხედვით 2006 წლის ივნისი - 2007 წლის ივლისის პერიოდში (ცხრილი 8).

**ცხრილი 8. შინამეურნეობების ჯანდაცვაზე დანახარჯები ერთ სულ მოსახლეზე ფუნქციების მიხედვით 2006 წლის ივლისი - 2007 წლის ივლისის პერიოდში**

| ჯანმრთელობის დაცვის ფუნქცია                                      | ICHA-HC კოდი  | ერთ სულ მოსახლეზე წლიური დანახარჯი (ლარი) |
|------------------------------------------------------------------|---------------|-------------------------------------------|
| <b>სამკურნალო მომსახურების განხორციელება</b>                     | <b>HC 1</b>   | <b>80.5</b>                               |
| <b>სტაციონარული მომსახურება</b>                                  | <b>HC 1.1</b> | <b>39.3</b>                               |
| მეანობა-გინეკოლოგია                                              | HC 1.1.3      | 4.5                                       |
| ტუბერკულოზი                                                      | HC 1.1.5      | 0.1                                       |
| პედიატრია                                                        | HC 1.1.8      | 1.6                                       |
| სხვა                                                             | HC 1.1.9      | 33.1                                      |
| <b>მკურნალობა დღის სტაციონარში</b>                               | <b>HC 1.2</b> | -                                         |
| <b>ამბულატორიული სამკურნალო მომსახურება</b>                      | <b>HC 1.3</b> | <b>41.2</b>                               |
| ბაზისური სამედიცინო და დიაგნოსტიკური სერვისი                     | HC 1.3.1      | 17.7                                      |
| თერაპიული სტომატოლოგიური მომსახურება                             | HC 1.3.2      | 9.4                                       |
| ყველა სხვა სპეციალიზებული სამედიცინო სერვისი                     | HC 1.3.3      | 11.6                                      |
| ყველა სხვა ამბულატორიული სამკურნალო მომსახურება                  | HC 1.3.9      | 1.1                                       |
| <b>სახლში გაწეული სამკურნალო მომსახურება</b>                     | <b>HC 1.4</b> | <b>1.4</b>                                |
| <b>რეაბილიტაციური მომსახურება</b>                                | <b>HC 2</b>   | -                                         |
| <b>პაციენტების ხანგრძლივი საექთნო მეთვალყურეობა</b>              | <b>HC 3</b>   | -                                         |
| <b>დამატებითი სამედიცინო მომსახურება</b>                         | <b>HC 4</b>   | <b>29.6</b>                               |
| კლინიკურ-ლაბორატორიული მომსახურება                               | HC 4.1        | 4.6                                       |
| დიაგნოსტიკური მომსახურება                                        | HC 4.2        | 1.9                                       |
| ყველა სხვა დანარჩენი დამატებითი სამედიცინო მომსახურება           | HC 4.9        | 23.1                                      |
| <b>სამედიცინო დანიშნულების საქონელი და მოწყობილობები</b>         | <b>HC 5</b>   | <b>106</b>                                |
| მედიკამენტები და ერთჯერადი სამედიცინო მოხმარების საგნები         | HC 5.1        | 104.6                                     |
| თერაპიული ინსტრუმენტები და სამედიცინო დანიშნულების მოწყობილობები | HC 5.2        | 1.4                                       |
| <b>ჯამი</b>                                                      |               | <b>216.2</b>                              |

სტაციონარულ და ქრონიკულ დაავადებებზე დანახარჯების არსებობის შემთხვევაში, რესპოდენტებიდან ინფორმაცია გროვდებოდა ბოლო ერთ წლიან პერიოდზე, ხოლო ყველა სხვა დანახარჯებზე - ბოლო ექვს თვიან პერიოდზე. ამის გამო, სტაციონარულ მკურნალობაზე ერთ სულზე დანახარჯი ჩაითვალა 2006 წლის დანახარჯად, ვინაიდან შემთხვევების და შესაბამისად დანახარჯების უდიდესი ნაწილი სწორედ დროის ამ შუალედზე მოდიოდა, ხოლო ყველა დანარჩენი დანახარჯი მიჩნეულ იქნე 2007 წლის დანახარჯად (ცხრილი 9).

**ცხრილი 9. ერთ სულზე ჯანდაცვის კერძო დანახარჯების მიკუთვნება დროის სხვადასხვა პერიოდზე**

| ჯანმრთელობის დაცვის ფუნქციები                                    | ICHA-HC კოდი  | ერთ სულ მოსახლეზე წლიური დანახარჯი (ლარი) | დროის პერიოდი |
|------------------------------------------------------------------|---------------|-------------------------------------------|---------------|
| <b>სამკურნალო მომსახურების განხორციელება</b>                     | <b>HC 1</b>   | <b>80.5</b>                               | 2006 წელი     |
| <b>სტაციონარული მომსახურება</b>                                  | <b>HC 1.1</b> | <b>39.3</b>                               | 2006 წელი     |
| მეანობა-გინეკოლოგია                                              | HC 1.1.3      | 4.5                                       | 2006 წელი     |
| ტუბერკულოზი                                                      | HC 1.1.5      | 0.1                                       | 2006 წელი     |
| პედიატრია                                                        | HC 1.1.8      | 1.6                                       | 2006 წელი     |
| სხვა                                                             | HC 1.1.9      | 33.1                                      | 2006 წელი     |
| <b>მკურნალობა დღის სტაციონარში</b>                               | <b>HC 1.2</b> | -                                         | 2006 წელი     |
| <b>ამბულატორიული სამკურნალო მომსახურება</b>                      | <b>HC 1.3</b> | <b>41.2</b>                               | 2007 წელი     |
| ბაზისური სამედიცინო და დიაგნოსტიკური სერვისი                     | HC 1.3.1      | 17.7                                      | 2007 წელი     |
| თერაპიული სტომატოლოგიური მომსახურება                             | HC 1.3.2      | 9.4                                       | 2007 წელი     |
| ყველა სხვა სპეციალიზ. სამედ. მომსახურება                         | HC 1.3.3      | 11.6                                      | 2007 წელი     |
| ყველა სხვა ამბულატ. სამკურნალო მომსახურება                       | HC 1.3.9      | 1.1                                       | 2007 წელი     |
| <b>სახლში გაწეული სამკურნალო მომსახურება</b>                     | <b>HC 1.4</b> | 1.4                                       | 2007 წელი     |
| <b>რეაბილიტაციური მომსახურება</b>                                | <b>HC 2</b>   | -                                         | 2007 წელი     |
| <b>პაციენტების ხანგრძლივი საექთნო მეთვალყურეობა</b>              | <b>HC 3</b>   | -                                         | 2007 წელი     |
| <b>დამატებითი სამედიცინო მომსახურება</b>                         | <b>HC 4</b>   | <b>29.6</b>                               | 2007 წელი     |
| კლინიკურ-ლაბორატორიული მომსახურება                               | HC 4.1        | 4.6                                       | 2007 წელი     |
| დიაგნოსტიკური მომსახურება                                        | HC 4.2        | 1.9                                       | 2007 წელი     |
| ყველა სხვა დანარჩენი დამატებითი სამედიცინო მომსახურება           | HC 4.9        | 23.1                                      | 2007 წელი     |
| <b>სამედიცინო დანიშნულების საქონელი და მოწყობილობები</b>         | <b>HC 5</b>   | 106                                       | 2007 წელი     |
| მედიკამენტები და ერთჯერადი სამედიცინო მოხმარების საგნები         | HC 5.1        | 104.6                                     | 2007 წელი     |
| თერაპიული ინსტრუმენტები და სამედიცინო დანიშნულების მოწყობილობები | HC 5.2        | 1.4                                       | 2007 წელი     |
| <b>ჯამი</b>                                                      |               | <b>216.2</b>                              |               |

მას შემდეგ, რაც ერთ სულ მოსახლეზე ჯანდაცვის კერძო დანახარჯი მიეკუთვნა დროის სხვადასხვა პერიოდს, 2001–2006 წლებში შინამეურნეოების მიერ ჯანდაცვაზე გაწეული დანახარჯების გასაანგარიშებლად გამოყენებული იქნა მეთოდოლოგიური დაშვება.

კვლევის შედეგად, თითოეულ ფუნქციაზე მიღებული ერთ სულზე დანახარჯი გადაყვანილ იქნა 2001-2006 წლის ფასებში, რისთვისაც მოხდა თეორიული დაშვება, რომ წლების მიხედვით ფასები სამედიცინო მომსახურებაზე და ფარმაცევტულ პროდუქციაზე იცვლებოდა ქვეყნის ეკონომიკაში არსებული ინფლაციის პროცენტის შესაბამისად. გაანგარიშებებში არ იქნა გამოყენებული ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ინფლაციის მონაცემები სამედიცინო მომსახურებასა და ფარმაცევტულ პროდუქციაზე მისი დაბალი სარწმუნოების გამო. სტატისტიკის დეპარტამენტის მასალებზე დაყრდნობით, ფარმაცევტულ პროდუქციაზე 2004 წელში აღინიშნებოდა სამომხმარებლო ფასების ინდექსის 1.9%-იანი ზრდა, ხოლო 2003, 2005 და 2006 წლებში ფარმაცევტულ

პროდუქციის ფასების ზრდის ნაცვლად აღინიშნა კლება. მაშინ, როდესაც ამ წლებში ფიქსირდება ქვეყნის ეკონომიკაში ინფლაციის მაღალი მაჩვენებელი და ფარმაცევტულ პროდუქციასა და სამედიცინო საგნებზე ფასების მნიშვნელოვანი მატება.

სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები ქვეყნის ეკონომიკაში ინფლაციის წლიური პროცენტის შესახებ შემდეგია:

2001 წელი - 104,7%

2002 წელი - 105.6%

2003 წელი - 104.8%

2004 წელი - 105.7%

2005 წელი - 108.2%

2006 წელი - 109.2%

2007 წელი - 111%<sup>10</sup>

მე-10 ცხრილში მოცემულია ერთ სულ მოსახლეზე ჯანდაცვის კერძო დანახარჯები ინფლაციის განაკვეთების გათვალისწინებით სხვადასხვა ფუნქციის მიხედვით.

---

<sup>10</sup> სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის წინასწარ შეფასებები

ცხრილი 10. ერთ სულ მოსახლეზე ჯანდაცვაზე კერძო დანახარჯები ფუნქციონალურ ჭრილში ინფლაციის გათვალისწინებით

| ჯანმრთელობის დაცვის ფუნქციები                                    | ICHA-HC კოდი  | 2001 წელი    | 2002 წელი    | 2003 წელი    | 2004 წელი    | 2005 წელი    | 2006 წელი    |
|------------------------------------------------------------------|---------------|--------------|--------------|--------------|--------------|--------------|--------------|
| <b>სამკურნალო მომსახურების განხორციელება</b>                     | <b>HC 1</b>   | <b>79.2</b>  | <b>83.7</b>  | <b>87.7</b>  | <b>92.7</b>  | <b>100.3</b> | <b>109.5</b> |
| ამბულატორიული სამკურნალო მომსახურება                             | HC 1.1        | 52.4         | 55.3         | 58.0         | 61.3         | 66.3         | 72.4         |
| მეანობა-გინეკოლოგია                                              | HC 1.1.3      | 3.3          | 3.4          | 3.6          | 3.8          | 4.1          | 4.5          |
| ტუბერკულოზი                                                      | HC 1.1.5      | 0.1          | 0.1          | 0.1          | 0.1          | 0.1          | 0.1          |
| პედიატრია                                                        | HC 1.1.8      | 1.2          | 1.2          | 1.3          | 1.4          | 1.5          | 1.6          |
| სხვა                                                             | HC 1.1.9      | 23.9         | 25.3         | 26.5         | 28.0         | 30.3         | 33.1         |
| <b>მკურნალობა დღის სტაციონარში</b>                               | <b>HC 1.2</b> |              |              |              |              |              | -            |
| ამბულატორიული სამკურნალო მომსახურება                             | HC 1.3        | 26.9         | 28.4         | 29.7         | 31.4         | 34.0         | 37.1         |
| ბაზისური სამედიცინო და დიაგნოსტიკური სერვისი                     | HC 1.3.1      | 11.5         | 12.2         | 12.8         | 13.5         | 14.6         | 15.9         |
| სტომატოლოგიური მომსახურება                                       | HC 1.3.2      | 6.1          | 6.5          | 6.8          | 7.2          | 7.8          | 8.5          |
| ყველა სხვა სპეციალიზირებული სამედიცინო მომსახურება               | HC 1.3.3      | 7.6          | 8.0          | 8.4          | 8.8          | 9.6          | 10.5         |
| ყველა სხვა ამბულატორიული სამკურნალო მომსახურება                  | HC 1.3.9      | 0.7          | 0.8          | 0.8          | 0.8          | 0.9          | 1.0          |
| <b>სახლში გაწეული სამკურნალო მომსახურება</b>                     | <b>HC 1.4</b> | <b>0.9</b>   | <b>1.0</b>   | <b>1.0</b>   | <b>1.1</b>   | <b>1.2</b>   | <b>1.3</b>   |
| <b>რეაბილიტაციური მომსახურება</b>                                | <b>HC 2</b>   |              |              |              |              |              | -            |
| <b>პაციენტების ხანგრძლივი საექთნო მეთვალყურეობა</b>              | <b>HC 3</b>   |              |              |              |              |              | -            |
| <b>დამატებითი სამედიცინო მომსახურება</b>                         | <b>HC 4</b>   | <b>19.3</b>  | <b>20.4</b>  | <b>21.4</b>  | <b>22.6</b>  | <b>24.4</b>  | <b>26.7</b>  |
| კლინიკურ-ლაბორატორიული მომსახურება                               | HC 4.1        | 3.0          | 3.2          | 3.3          | 3.5          | 3.8          | 4.1          |
| დიაგნოსტიკური მომსახურება                                        | HC 4.2        | 1.2          | 1.3          | 1.4          | 1.4          | 1.6          | 1.7          |
| ყველა სხვა დანარჩენი დამატებითი სამედიცინო მომსახურება           | HC 4.9        | 15.1         | 15.9         | 16.7         | 17.6         | 19.1         | 20.8         |
| <b>სამედიცინო დანიშნულების საქონელი და მოწყობილობები</b>         | <b>HC 5</b>   | <b>69.1</b>  | <b>73.0</b>  | <b>76.5</b>  | <b>80.8</b>  | <b>87.5</b>  | <b>95.5</b>  |
| მედიკამენტები და ერთჯერადი სამედიცინო მოხმარების საგნები         | HC 5.1        | 68.2         | 72.0         | 75.5         | 79.8         | 86.3         | 94.2         |
| თერაპიული ინსტრუმენტები და სამედიცინო დანიშნულების მოწყობილობები | HC 5.2        | 0.9          | 1.0          | 1.0          | 1.1          | 1.2          | 1.3          |
| <b>ჯამი</b>                                                      |               | <b>167.6</b> | <b>177.0</b> | <b>185.5</b> | <b>196.1</b> | <b>212.2</b> | <b>231.7</b> |

2001-2006 წლებში სტაციონარულ და ამბულატორიულ მომსახურებაზე კერძო დანახარჯების გადასაანგარიშებლად სამედიცინო სტატისტიკურ მასალებზე დაყრდნობით შესწავლილ იქნა უტილიზაციის მაჩვენებლები ჰოსპიტალიზაციასა და ამბულატორიულ მიმართულებებზე სხვადასხვა სპეციალობების მიხედვით.

როგორც მე-9 ცხრილიდან ჩანს, კვლევაში ერთ სულზე სტაციონარული დანახარჯის შესახებ ინფორმაცია მოცემულია 2006 წლის მდგომარეობით, ხოლო ერთ სულ მოსახლეზე ამბულატორიულ დანახარჯების შესახებ - 2007 წლის მდგომარეობით.

ჰოსპიტალიზაციების ზრდის/კლების ტემპი გამოთვლილ იქნა სხვადასხვა სპეციალობების მიხედვით ცალ-ცალკე 2006 წლიდან უკან 2001 წლისკენ, წინა წლის მონაცემის შეფარდებით მომდევნო წელთან.

ამბულატორიული მიმართულების ტემპის გამოსათვლელად, საჭირო გახდა ამბულატორიული მიმართულების რაოდენობის გაანგარიშება 2007 წლისათვის და შემდეგ აღნიშნული წლიდან უკან, ჰოსპიტალიზაციის ტემპის ანალოგიურად.

ვინაიდან 2007 წლის ამბულატორიული მიმართულების შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია დღეს-დღეობით არ არსებობს, საჭირო გახდა მისი პროგნოზირება, რისთვისაც გაკეთდა დაშვება, რომ ზრდის ტემპი რომელიც 2001-2006 წლებში იყო, შენარჩუნებული იქნებოდა 2007 წლისათვის. შესაბამისად 6 წლის შემთხვევების გათვალისწინებით გამოთვლილ იქნა საშუალო ზრდის ტემპი თითოეულ ამბულატორიულ ფუნქციაზე (ცხრილი 11)

ჰოსპიტალიზაციების და ამბულატორიული მიმართულების ზრდა/კლების ტემპის პროცენტული მაჩვენებლები 2007 - 2001 წლებში იხილეთ ცხრილი 12-ში.

ცხრილი 11. უტილიზაციის მაჩვენებლები 2001-2007 წლებში (ერთეული შემთხვევა)

| ჯანმრთელობის დაცვის ფუნქციები                          | ICHA-HC კოდი  | 2001 წელი        | 2002 წელი        | 2003 წელი        | 2004 წელი        | 2005 წელი        | 2006 წელი        | 2007 წელი        |
|--------------------------------------------------------|---------------|------------------|------------------|------------------|------------------|------------------|------------------|------------------|
| <b>სამკურნალო მომსახურების განხორციელება</b>           | <b>HC 1</b>   |                  |                  |                  |                  |                  |                  |                  |
| <b>ამბულატორიული სამკურნალო მომსახურება</b>            | <b>HC 1.1</b> | <b>208,295</b>   | <b>212,689</b>   | <b>216,703</b>   | <b>244,120</b>   | <b>261,741</b>   | <b>277,768</b>   |                  |
| მეანობა-გინეკოლოგია                                    | HC 1.1.3      | 73,465           | 73,361           | 73,163           | 72,487           | 73,081           | 81,633           |                  |
| ტუბერკულოზი                                            | HC 1.1.5      | 5,707            | 6,346            | 6,208            | 6,543            | 6,696            | 6,294            |                  |
| პედიატრია                                              | HC 1.1.8      | 19,944           | 19,944           | 21,710           | 22,312           | 30,789           | 34,520           |                  |
| სხვა                                                   | HC 1.1.9      | 109,179          | 113,038          | 115,622          | 142,778          | 151,175          | 155,321          |                  |
| <b>მკურნალობა დღის სტაციონარში</b>                     | <b>HC 1.2</b> |                  |                  |                  |                  |                  |                  |                  |
| <b>ამბულატორიული სამკურნალო მომსახურება</b>            | <b>HC 1.3</b> | <b>1,457,737</b> | <b>1,531,506</b> | <b>1,642,139</b> | <b>1,773,309</b> | <b>1,923,914</b> | <b>2,016,868</b> | <b>2,129,801</b> |
| ბაზისური სამედიცინო და დიაგნოსტიკური სერვისი           | HC 1.3.1      | 1,158,662        | 1,243,668        | 1,323,926        | 1,444,941        | 1,566,028        | 1,670,371        | 1,776,087        |
| სტომატოლოგიური მომსახურება                             | HC 1.3.2      | 283,324          | 274,548          | 303,240          | 306,359          | 330,360          | 321,438          | 328,679          |
| ყველა სხვა სპეციალიზირებული სამედიცინო მომსახურება     | HC 1.3.3      | 15,750           | 13,289           | 14,972           | 22,008           | 27,525           | 25,058           | 27,570           |
| <b>სახლში გაწეული სამკურნალო მომსახურება</b>           | <b>HC 1.4</b> | <b>366,806</b>   | <b>370,923</b>   | <b>418,048</b>   | <b>505,862</b>   | <b>475,390</b>   | <b>681,940</b>   | <b>764,066</b>   |
| <b>რეაბილიტაციური მომსახურება</b>                      | <b>HC 2</b>   |                  |                  |                  |                  |                  |                  |                  |
| <b>პაციენტების ხანგრძლივი საექთნო მეთვალყურეობა</b>    | <b>HC 3</b>   |                  |                  |                  |                  |                  |                  |                  |
| <b>დამატებითი სამედიცინო მომსახურება</b>               | <b>HC 4</b>   | <b>3,519,537</b> | <b>3,529,839</b> | <b>4,078,768</b> | <b>4,068,902</b> | <b>4,509,464</b> | <b>4,941,878</b> | <b>5,238,543</b> |
| კლინიკურ-ლაბორატორიული მომსახურება                     | HC 4.1        | 3,500,431        | 3,509,590        | 4,059,387        | 4,041,353        | 4,480,438        | 4,905,580        | 5,198,579        |
| დიაგნოსტიკური მომსახურება                              | HC 4.2        | 12,753           | 12,047           | 10,673           | 18,085           | 18,401           | 22,756           | 25,711           |
| ყველა სხვა დანარჩენი დამატებითი სამედიცინო მომსახურება | HC 4.9        | 6,353            | 8,202            | 8,708            | 9,464            | 10,625           | 13,542           | 15,431           |

ცხრილი 12. - ჰოსპიტალიზაციების და ამბულატორიული მიმამართებების ტემპი 2001 - 2007 წლებში (%)

| ჯანმრთელობის დაცვის ფუნქციები                          | ICHA-HC კოდი  | 2001 წელი    | 2002 წელი    | 2003 წელი     | 2004 წელი     | 2005 წელი    | 2006 წელი     | 2007 წელი     |
|--------------------------------------------------------|---------------|--------------|--------------|---------------|---------------|--------------|---------------|---------------|
| <b>სამკურნალო მომსახურების განხორციელება</b>           | <b>HC 1</b>   |              |              |               |               |              |               |               |
| <b>ამბულატორიული სამკურნალო მომსახურება</b>            | <b>HC 1.1</b> | <b>97.9%</b> | <b>98.1%</b> | <b>88.8%</b>  | <b>93.3%</b>  | <b>94.2%</b> | <b>100.0%</b> |               |
| მეანობა-გინეკოლოგია                                    | HC 1.1.3      | 100.0%       | 99.9%        | 99.7%         | 99.1%         | 100.8%       | 100.0%        |               |
| ტუბერკულოზი                                            | HC 1.1.5      | 100.0%       | 111.2%       | 97.8%         | 105.4%        | 102.3%       | 100.0%        |               |
| პედიატრია                                              | HC 1.1.8      | 100.0%       | 100.0%       | 108.9%        | 102.8%        | 138.0%       | 100.0%        |               |
| სხვა                                                   | HC 1.1.9      | 100.0%       | 103.5%       | 102.3%        | 123.5%        | 105.9%       | 100.0%        |               |
| <b>მკურნალობა დღის სტაციონარში</b>                     | <b>HC 1.2</b> |              |              |               |               |              |               |               |
| <b>ამბულატორიული სამკურნალო მომსახურება</b>            | <b>HC 1.3</b> | <b>95.2%</b> | <b>93.3%</b> | <b>92.6%</b>  | <b>92.2%</b>  | <b>95.4%</b> | <b>94.7%</b>  | <b>100.0%</b> |
| ბაზისური სამედიცინო და დიაგნოსტიკური სერვისი           | HC 1.3.1      | 93.2%        | 93.9%        | 91.6%         | 92.3%         | 93.8%        | 94.0%         | 100.0%        |
| სტომატოლოგიური მომსახურება                             | HC 1.3.2      | 103.2%       | 90.5%        | 99.0%         | 92.7%         | 102.8%       | 97.8%         | 100.0%        |
| ყველა სხვა სპეციალიზირებული სამედიცინო მომსახურება     | HC 1.3.3      | 118.5%       | 88.8%        | 68.0%         | 80.0%         | 109.8%       | 90.9%         | 100.0%        |
| <b>სახლში გაწეული სამკურნალო მომსახურება</b>           | <b>HC 1.4</b> | <b>98.9%</b> | <b>88.7%</b> | <b>82.6%</b>  | <b>106.4%</b> | <b>69.7%</b> | <b>89.3%</b>  | <b>100.0%</b> |
| <b>რეაბილიტაციური მომსახურება</b>                      | <b>HC 2</b>   |              |              |               |               |              |               |               |
| <b>პაციენტების ხანგრძლივი საექთნო მეთვალყურეობა</b>    | <b>HC 3</b>   |              |              |               |               |              |               |               |
| <b>დამატებითი სამედიცინო მომსახურება</b>               | <b>HC 4</b>   | <b>99.7%</b> | <b>86.5%</b> | <b>100.2%</b> | <b>90.2%</b>  | <b>91.3%</b> | <b>94.3%</b>  | <b>100.0%</b> |
| კლინიკურ-ლაბორატორიული მომსახურება                     | HC 4.1        | 99.7%        | 86.5%        | 100.4%        | 90.2%         | 91.3%        | 94.4%         | 100.0%        |
| დიაგნოსტიკური მომსახურება                              | HC 4.2        | 105.9%       | 112.9%       | 59.0%         | 98.3%         | 80.9%        | 88.5%         | 100.0%        |
| ყველა სხვა დანარჩენი დამატებითი სამედიცინო მომსახურება | HC 4.9        | 77.5%        | 94.2%        | 92.0%         | 89.1%         | 78.5%        | 87.8%         | 100.0%        |



სტაციონარულ და ამბულატორიულ მომსახურებაზე შინამეურნეობების კერძო სამედიცინო დანახარჯების გასაანგარიშებლად გამოყენებული იქნა სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ ოფიციალურად დეკლარირებული მოსახლეობის რაოდენობა:

2001 წელი - 4,546,600

2002 წელი - 4,731,500

2003 წელი - 4,315,200

2004 წელი - 4,318,400

2005 წელი - 4,361,400

2006 წელი - 4,398,000

2007 წელი - 4,395,000<sup>11</sup>

2001–2006 წლებში სამედიცინო მომსახურებაზე კერძო დანახარჯების გასაანგარიშებლად, თითოეული ფუნქციის მიხედვით ერთ სულზე დანახარჯი გადათვლილია სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ ოფიციალურად დეკლარირებული მოსახლეობის რიცხოვნობაზე და მაკორექტირებელ ფაქტორად აღებულ იქნა შესაბამის წლებში სამედიცინო მომსახურებაზე ზრდადობის/კლებადობის შესახებ ინფორმაცია (ცხრილი 14).

---

<sup>11</sup> სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის წინასწარი შეფასებები

ცხრილი 14. 2001 – 2006 წლებში კერძო დანახარჯი ამბულატორიულ და სტაციონარულ მომსახურებაზე

| ჯანმრთელობის დაცვის ფუნქციები                          | ICHA-HC კოდი  | 2001 წელი          | 2002 წელი          | 2003 წელი          | 2004 წელი          | 2005 წელი          | 2006 წელი          |
|--------------------------------------------------------|---------------|--------------------|--------------------|--------------------|--------------------|--------------------|--------------------|
| <b>სამკურნალო მომსახურების განხორციელება</b>           | <b>HC 1</b>   | <b>178,034,135</b> | <b>185,547,061</b> | <b>213,477,476</b> | <b>254,368,852</b> | <b>298,822,262</b> | <b>340,084,083</b> |
| <b>ამბულატორიული სამკურნალო მომსახურება</b>            | <b>HC 1.1</b> | <b>97,590,206</b>  | <b>105,237,413</b> | <b>120,323,177</b> | <b>141,424,500</b> | <b>161,863,842</b> | <b>186,621,063</b> |
| მენობა-გინეკოლოგია                                     | HC 1.1.3      | 12,892,283         | 13,594,978         | 13,886,149         | 14,542,043         | 15,863,428         | 19,791,000         |
| ტუბერკულოზი                                            | HC 1.1.5      | 288,658            | 338,953            | 339,601            | 378,328            | 418,923            | 439,800            |
| პედიატრია                                              | HC 1.1.8      | 2,942,916          | 3,107,719          | 3,464,604          | 3,763,702          | 5,619,474          | 7,036,800          |
| სხვა                                                   | HC 1.1.9      | 74,069,056         | 80,981,559         | 84,836,256         | 110,732,713        | 126,859,353        | 145,573,800        |
| <b>ამბულატორიული სამკურნალო მომსახურება</b>            | <b>HC 1.3</b> | <b>78,516,345</b>  | <b>78,251,274</b>  | <b>90,778,312</b>  | <b>109,905,392</b> | <b>133,868,336</b> | <b>148,512,216</b> |
| ბაზისური სამედიცინო და დიაგნოსტიკური სერვისი           | HC 1.3.1      | 33,116,568         | 37,536,773         | 40,925,430         | 47,212,243         | 55,364,490         | 65,955,973         |
| თერაპიული სტომატოლოგიური მომსახურება                   | HC 1.3.2      | 23,239,110         | 23,780,355         | 26,900,701         | 28,726,502         | 33,517,129         | 36,423,861         |
| ყველა სხვა სპეციალიზირებული სამედიცინო მომსახურება     | HC 1.3.3      | 19,005,864         | 16,934,145         | 19,540,148         | 30,360,128         | 41,084,463         | 41,774,003         |
| ყველა სხვა ამბულატორიული სამკურნალო მომსახურება        | HC 1.3.9      | 3,154,803          | 0.8                | 3,412,033          | 3,606,519          | 3,902,254          | 4,358,378          |
| <b>სახლში გაწეული სამკურნალო მომსახურება</b>           | <b>HC 1.4</b> | <b>1,927,584</b>   | <b>2,058,376</b>   | <b>2,375,987</b>   | <b>3,038,960</b>   | <b>3,090,084</b>   | <b>4,950,804</b>   |
| <b>დამატებითი სამედიცინო მომსახურება</b>               | <b>HC 4</b>   | <b>38,862,613</b>  | <b>49,288,658</b>  | <b>55,255,511</b>  | <b>63,983,498</b>  | <b>77,030,841</b>  | <b>104,185,399</b> |
| კლინიკურ-ლაბორატორიული მომსახურება                     | HC 4.1        | 8,883,300          | 9,405,310          | 11,395,700         | 11,991,743         | 14,384,781         | 17,198,707         |
| დიაგნოსტიკური მომსახურება                              | HC 4.2        | 2,702,855          | 2,696,207          | 2,502,215          | 4,481,585          | 4,933,803          | 6,662,834          |
| ყველა სხვა დანარჩენი დამატებითი სამედიცინო მომსახურება | HC 4.9        | 27,276,458         | 37,187,142         | 41,357,596         | 47,510,170         | 57,712,256         | 80,323,858         |

მეანობა/გინეკოლოგიის (HC 1.1.3) ქვეშ აკუმულირებული დანახარჯების ცალ-ცალკე გასაყოფად გამოყენებულ იქნა სტატისტიკური ინფორმაცია თითოეულ სპეციალობაზე ქვეყანაში გატარებული საწოლდღეების რაოდენობის შესახებ.

2001-2005 წლების ჯანდაცვის რეპროდუქციული ქვეანგარიშის მეთოდოლოგიიდან აღებულ იქნა გინეკოლოგიური და მეანობის საწოლდღის საშუალო ღირებულების თანაფარდობა - 1.66 (გინეკოლოგიური საწოლდღე 1,66-ჯერ აღემატება მეანობის საწოლდღის ღირებულებას). თანაფარდობის კოეფიციენტის გათვალისწინებით გამოანგარიშებულია მეანობისა და გინეკოლოგიის დანახარჯებს შორის პროცენტული თანაფარდობა (ცხრილი 15)

ცხრილი 15. მეანობასა და გინეკოლოგიაზე დანახარჯების (HC 1.1.3) გაყოფა, 2001 წელი

| სპეციალობა                             | ქვეყანაში<br>გატარებული<br>საწოლდღეები | პროცენტული<br>გადანაწილება 1.66<br>ექვივალენტის<br>გამოყენებით | თანხა<br>(გამოთვლილი<br>პროცენტული<br>წილის<br>შესაბამისად) |
|----------------------------------------|----------------------------------------|----------------------------------------------------------------|-------------------------------------------------------------|
| მეანობა                                | 214,223                                | 53.3 %                                                         | 6,873,393                                                   |
| გინეკოლოგია                            | 113,006                                | 46.7 %                                                         | 6,018,890                                                   |
| <b>მთლიანად მეანობა და გინეკოლოგია</b> | <b>327,230</b>                         | <b>100.0 %</b>                                                 | <b>12,892,283</b>                                           |

ფუნქცია HC 1.1.9 - სხვა სტაციონარული დანახარჯების (ცხრილი 14) სხვადასხვა ფუნქციებად დასაყოფად (ქირურგია, თერაპია, ონკოლოგია, ინფექციური დაავადებები) გამოთვლილ იქნა აღნიშნულ სპეციალობებზე ქვეყანაში გატარებული საწოლდღეების რაოდენობა. ამ ჯამშიც არ იქნა შეყვანილი იმ სპეციალობების საწოლდღეები (კერძოდ: მეანობა, გინეკოლოგია, ტუბერკულოზი და პედიატრია), რომელთა დანახარჯების შესახებაც კვლევა იძლევა ინფორმაციას (ცხრილი 16).

ცხრილი 16. ქვეყანაში გატარებული საწოლდღეების რაოდენობა ცალკეული სპეციალობების მიხედვით

| სპეციალობა      | 2001<br>წელი   | 2002<br>წელი   | 2003<br>წელი   | 2004<br>წელი   | 2005<br>წელი   | 2006<br>წელი   |
|-----------------|----------------|----------------|----------------|----------------|----------------|----------------|
| ონკოლოგია       | 70,613         | 111,178        | 68,149         | 76,971         | 77,848         | 95,753         |
| ინფექცია        | 145,597        | 128,318        | 104,870        | 129,722        | 108,109        | 114,860        |
| ქირურგია        | 363,812        | 374,271        | 359,112        | 390,986        | 361,505        | 361,614        |
| თერაპია         | 207,001        | 256,246        | 242,551        | 263,497        | 215,723        | 230,667        |
| სხვა სპეციალობა | 87,321         | 85,084         | 205,650        | 104,743        | 87,905         | 83,946         |
| <b>ჯამი</b>     | <b>874,344</b> | <b>955,098</b> | <b>980,332</b> | <b>965,918</b> | <b>851,091</b> | <b>886,840</b> |

გაკეთებული იქნა შემდეგი თეორიული დაშვება, რომ მე-16 ცხრილში, „სხვა სპეციალობებზე - Other Speciality“ გატარებული საწოლდღეები პროპორციულია HC 1.1.9 ფუნქციის ქვეშ აკუმულირებული დანახარჯებისა (ცხრილი 17) და ამ დაშვების შესაბამისად გადანაწილდა HC 1.1.9 ფუნქციის ქვეშ აკუმულირებული დანახარჯები (ცხრილი 18).

ცხრილი 17 ქირურგიაზე, თერაპიაზე, ონკოლოგიაზე და ინფექციურ დაავადებებზე საწოლდღეების თანაფარდობა HC 1.1.9 ფუნქციის საწოლდღებთან

| სპეციალობების მიხედვით<br>საწოლდღეების თანაფარდობა | 2001<br>წელი | 2002<br>წელი | 2003<br>წელი | 2004<br>წელი | 2005<br>წელი | 2006<br>წელი |
|----------------------------------------------------|--------------|--------------|--------------|--------------|--------------|--------------|
| ონკოლოგია+ინფექცია+ქირურგია+თერაპია                | 90%          | 91.1%        | 79.0%        | 89.2%        | 89.7%        | 90.5%        |
| სხვა სპეციალობა                                    | 10%          | 8.9%         | 21.0%        | 10.8%        | 10.3%        | 9.5%         |
| <b>ჯამი</b>                                        | <b>100%</b>  | <b>100%</b>  | <b>100%</b>  | <b>100%</b>  | <b>100%</b>  | <b>100%</b>  |

ცხრილი 18. HC 1.1.9 ფუნქციის ქვეშ აკუმულირებული თანხების დაყოფა

| სპეციალობების მიხედვით<br>დანახარჯების<br>თანაფარდობა | 2001<br>წელი      | 2002<br>წელი      | 2003<br>წელი      | 2004<br>წელი       | 2005<br>წელი       | 2006<br>წელი       |
|-------------------------------------------------------|-------------------|-------------------|-------------------|--------------------|--------------------|--------------------|
| ონკოლოგია+ინფექცია+ქირურგია+თერაპია                   | 66,671,762        | 73,767,355        | 67,039,690        | 98,724,999         | 113,756,689        | 131,794,137        |
| სხვა სპეციალობა                                       | 7,397,294         | 7,214,204         | 17,796,567        | 12,007,714         | 13,102,664         | 13,779,663         |
| <b>ჯამი</b>                                           | <b>74,069,056</b> | <b>80,981,559</b> | <b>84,836,256</b> | <b>110,732,713</b> | <b>126,859,353</b> | <b>145,573,800</b> |

ონკოლოგიურ, თერაპიულ, ქირურგიულ და ინფექციურ სპეციალობებზე აკუმულირებული დანახარჯები დაყოფილი იქნა მეანობასა და გინეკოლოგიაზე ხარჯების დაყოფის ანალოგიურად, ანუ გამოთვლილ იქნა თუ საშუალოდ რამდენით აღემატება/ტოლია თითოეულ სპეციალობის საწოლდღის ღირებულება სხვა სპეციალობის საწოლდღის ღირებულებას. თანაფარდობის კოეფიციენტი გამოანგარიშებულ იქნა 2007 წლის სახელმწიფო პროგრამების საწოლდღეების გასაშუალებელი ღირებულებიდან (ცხრილი 19), რომელმაც შეადგინა შემდეგი:

ცხრილი 19. სპეციალობების მიხედვით საწოლდღეების ღირებულების კოეფიციენტი

| ფუნქცია   | კოეფიციენტი |
|-----------|-------------|
| ონკოლოგია | 1.81        |
| ინფექცია  | 1.00        |
| ქირურგია  | 2.17        |
| თერაპია   | 1.98        |

აღნიშნული კოეფიციენტის გათვალისწინებით დანახარჯები გადანაწილდა შემდეგი თანაფარდობით (ცხრილი 20):

ცხრილი 20. დანახარჯების გადანაწილება ფუნქციებს შორის კოეფიციენტის გათვალისწინებით

| სპეციალობა  | 2001 წელი   | 2002 წელი   | 2003 წელი   | 2004 წელი   | 2005 წელი   | 2006 წელი   |
|-------------|-------------|-------------|-------------|-------------|-------------|-------------|
| ონკოლოგია   | 8,7%        | 12,2%       | 8,3%        | 8,5%        | 9,7%        | 11,4%       |
| ინფექცია    | 9,9%        | 7,8%        | 7,1%        | 7,9%        | 7,4%        | 7,5%        |
| ქირურგია    | 53,6%       | 49,2%       | 52,3%       | 51,7%       | 53,7%       | 51,3%       |
| თერაპია     | 27,9%       | 30,8%       | 32,3%       | 31,9%       | 29,3%       | 29,9%       |
| <b>ჯამი</b> | <b>100%</b> | <b>100%</b> | <b>100%</b> | <b>100%</b> | <b>100%</b> | <b>100%</b> |

ამრიგად 2001-2006 წლებში დანახარჯებმა სხვადასხვა ფუნქციების მიხედვით შეადგინა შემდეგი (ცხრილი 21):

ცხრილი 21. 2001 – 2006 წლებში შინამეურნეობების მიერ სტაციონარულ დახმარებაზე გაწეული დანახარჯების დეტალიზება მომსახურების სახეების მიხედვით

| ჯანმრთელობის დაცვის ფუნქციები                      | ICHA-HC კოდი  | 2001 წელი          | 2002 წელი          | 2003 წელი          | 2004 წელი          | 2005 წელი          | 2006 წელი          |
|----------------------------------------------------|---------------|--------------------|--------------------|--------------------|--------------------|--------------------|--------------------|
| <b>სამკურნალო მომსახურების განხორციელება</b>       | <b>HC 1</b>   | <b>178,034,135</b> | <b>188,878,533</b> | <b>213,477,476</b> | <b>254,368,852</b> | <b>298,822,262</b> | <b>340,084,083</b> |
| <b>ამბულატორიული სამკურნალო მომსახურება</b>        | <b>HC 1.1</b> | <b>97,590,206</b>  | <b>105,237,413</b> | <b>120,323,177</b> | <b>141,424,500</b> | <b>161,863,842</b> | <b>186,621,063</b> |
| ქირურგია                                           | HC 1.1.1      | 39,675,212         | 39,848,464         | 44,401,999         | 57,269,092         | 68,080,706         | 74,619,237         |
| თერაპია                                            | HC 1.1.2      | 20,629,634         | 24,932,170         | 27,406,418         | 35,270,505         | 37,126,563         | 43,497,996         |
| მეანობა-გინეკოლოგია                                | HC 1.1.3      | 12,892,283         | 13,594,978         | 13,886,149         | 14,542,043         | 15,863,428         | 19,791,000         |
| მეანობა                                            | HC 1.1.3.1    | 6,873,393          | 7,457,120          | 6,963,198          | 7,016,921          | 7,383,728          | 9,211,840          |
| გინეკოლოგია                                        | HC 1.1.3.2    | 6,018,890          | 6,137,858          | 6,922,952          | 7,525,123          | 8,479,700          | 10,579,160         |
| ონკოლოგია                                          | HC 1.1.4      | 6,439,485          | 9,898,469          | 7,046,188          | 9,427,779          | 12,259,843         | 16,522,771         |
| ტუბერკულოზი                                        | HC 1.1.5      | 288,658            | 338,953            | 339,601            | 378,328            | 418,923            | 439,800            |
| ინფექცია                                           | HC 1.1.6      | 7,324,725          | 6,302,456          | 5,981,651          | 8,765,336          | 9,392,241          | 10,933,796         |
| ფსიქიკური დარღვევები                               | HC 1.1.7      | -                  | -                  | -                  | -                  | -                  | -                  |
| პედიატრია                                          | HC 1.1.8      | 2,942,916          | 3,107,719          | 3,464,604          | 3,763,702          | 5,619,474          | 7,036,800          |
| სხვა                                               | HC 1.1.9      | 7,397,294          | 7,214,204          | 17,796,567         | 12,007,714         | 13,102,664         | 13,779,663         |
| <b>მკურნალობა დღის სტაციონარში</b>                 | <b>HC 1.2</b> |                    |                    |                    |                    |                    |                    |
| <b>ამბულატორიული სამკურნალო მომსახურება</b>        | <b>HC 1.3</b> | <b>78,516,345</b>  | <b>81,582,745</b>  | <b>90,778,312</b>  | <b>109,905,392</b> | <b>133,868,336</b> | <b>148,512,216</b> |
| ბაზისური სამედიცინო და დიაგნოსტიკური სერვისი       | HC 1.3.1      | 33,116,568         | 37,536,773         | 40,925,430         | 47,212,243         | 55,364,490         | 65,955,973         |
| სტომატოლოგიური მომსახურება                         | HC 1.3.2      | 23,239,110         | 23,780,355         | 26,900,701         | 28,726,502         | 33,517,129         | 36,423,861         |
| ყველა სხვა სპეციალიზირებული სამედიცინო მომსახურება | HC 1.3.3      | 19,005,864         | 16,934,145         | 19,540,148         | 30,360,128         | 41,084,463         | 41,774,003         |
| ყველა სხვა ამბულატორიული სამკურნალო მომსახურება    | HC 1.3.9      | 3,154,803          | 3,331,472          | 3,412,033          | 3,606,519          | 3,902,254          | 4,358,378          |
| <b>სახლში გაწეული სამკურნალო მომსახურება</b>       | <b>HC 1.4</b> | <b>1,927,584</b>   | <b>2,058,376</b>   | <b>2,375,987</b>   | <b>3,038,960</b>   | <b>3,090,084</b>   | <b>4,950,804</b>   |

### 2.3.2. შინამეურნეობების დანახარჯი ფარმაცევტულ პროდუქციაზე და სამედიცინო საგნებზე 2001-2006 წლებში

2001 – 2006 წლებში შინამეურნეობების მიერ ფარმაცევტულ პროდუქციაზე გაწეული დანახარჯები შეფასებითია და გამოთვლილია სხვადასხვა მეთოდოლოგიური დაშვებებისა და ექსპერტული შეფასებების საფუძველზე.

გაკეთდა დაშვება, რომ 2007 წელს ჩატარებულ შინამეურნეობების კვლევას ყველაზე ზუსტად აქვს შეფასებული აღნიშნული წლის შინამეურნეობების ფარმაცევტული დანახარჯი.

მომდევნო წლებში ალბათ საჭირო აღარ იქნება მეთოდოლოგიური დაშვებების შემოტანა და სტატისტიკურ ინფორმაციაზე დაყრდნობით გახდება შესაძლებელი ფარმაცევტული დანახარჯების შეფასება.

